გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია“ ეხმიანება

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№38 (933) 16 - 17 აპრილი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი



გვ. 6-7

ფრიდონ თოდუა: „ჯანმრთელობა ყველაზე დიდი სიმდიდრეა და მინდა, საქართველოში ყველას ჰქონდეს ამ სიკეთის მიღების საშუალება“

„თოდუას კლინიკაში“ სხივური თერაპიის უნიკალური აპარატები დამონტაჟდა

ექსკლუზიური ინტერვიუ გიგლა აგულაშვილთან



„თუ თავისუფალ სახელმწიფოს ვაშენებთ, აზრთა სხვადასხვაობა არ უნდა გვაშინებდეს!“

გვ. 3

როგორ ზეიმობენ აღდგომას საქართველოსა და მსოფლიოში

გვ. 9

ბათუმის პორტს საეჭვო რეპუტაციის კრიმინალი მართავს?

ვინ არის „ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგის“ დირექტორი ცაგაც ბაიცაზიევი, რომელიც ქართულ კომპანია „ტრანსისტემს“ ავიწროებს

გვ. 4

ევროპული ანალოგი თუ უკან, სოციალიზმში გადადგმული ნაბიჯი — საბანკო ასოციაციის პრეზიდენტი სკეპტიკოსების შიშს არ იზიარებს

გვ. 5

ახალაიების ახალი ფაქტორი და დაანონსებული „ეროვნული მოძრაობა“

გვ. 3

„ვერსია“ სოლიდარობას უცხადებს აძვში რუსი ოკუპანტების მიერ დაკავებულ TV3-ის ჟურნალისტებს

გვ. 2

შს სამინისტროს გენინსპექციის უფროსი ზვიად ჯანყარაშვილი გადადგა



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა ზვიად ჯანყარაშვილმა თანამდებობა დატოვა. ჯანყარაშვილი განცხადებას ავრცელებს, რომელშიც გადაწყვეტილების მიზეზს განმარტავს და აცხადებს: **„კოალიცია „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან ჩემს მოქალაქეობრივ ვალად მიმაჩნდა, გვერდში დავდგომოდი კოალიციას და მონაწილეობა მიმეღო იმ ბრძოლაში, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა წამოიწყო სააკაშვილის რეჟიმისგან ქვეყნის გასათავისუფლებლად.**

არჩევნებში ჩვენი პოლიტიკური ძალის გამარჯვების შემდეგ, ჩავდექი სახელმწიფო სამსახურში, ერთგულად ვემსახურე საერთო საქმეს და პირნათელი ვარ ჩვენი ქვეყნის წინაშე. გარდამავალ პერიოდში ვეხმარებოდი და ერთგულად ვედექი გვერდში მთელ პოლიტიკურ გუნდს, ბატონ ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს.

დღეს, როდესაც უკვე გარდამავალი ეტაპი დასრულებულად შეიძლება ჩავთვალოთ და მასთან დაკავშირებული სიძნელეები გადალახულია, ასევე, ოფიციალურად გამოცხადდა წინასაარჩევნო პერიოდი, საჭიროდ ვთვლი, დავტოვო თანამდებობა, რადგან არ მინდა, ჩემმა ყოფნამ ამ თანამდებობაზე გამოიწვიოს უხერხულობა, საზოგადოებაში დარჩეს რაიმე სახის შეკითხვა, ადგილი ჰქონდეს ხელახალ სპეკულაციებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან ნათესაობის თემაზე და ამით ხელი შეეშალოს იმ დიდ საქმეს, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უდგას სათავეში ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ“.

„ვერსიანიუსი“

სოფელ აძვში რუსმა ოკუპანტებმა TV3-ის გადამღები ჯგუფი აიყვანეს



ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფელ აძვში რუსმა ოკუპანტებმა TV3-ის გადამღები ჯგუფი აიყვანეს. ჟურნალისტი ბელა ზაქაიძე, ოპერატორი ვახო ლეკიაშვილი, პირდაპირი ჩართვის ტექნიკური ჯგუფის წევრი მიხეილ მიხოევი მაშინ აიყვანეს, როდესაც ისინი პროფესიულ საქმიანობას ეწეოდნენ.

გადამღები ჯგუფი მცოცავი ოკუპაციის მიღმა მოქცეულ აძვის ეკლესიასა და სასაფლაოებზე სიუჟეტს ამზადებდა. მათ მოასწრეს მასალის მოწოდება არხისთვის, ამის შემდეგ კი ჯგუფთან კავშირი გაწყდა. დაკავებული ქართველი ჟურნალისტები, სავარაუდოდ, ერთ-ერთ რუსულ საგუშაგოზე იმყოფებიან და ცხინვალში ჯერჯერობით არ გადაუყვანიათ.

შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის, გოჩა რატიანის ინფორმაციით, **„დაგვიდასტურეს, რომ რუსებს ჰყავთ დაკავებული. ცხინვალში ჯერჯერობით არ არიან გადაყვანილები. ამ ეტაპზე მათი მხრიდან არანაირი მოთხოვნა არ არის წამოყენებული, პირიქით, ჩვენ დავაყენეთ დაკავებულთა სასწრაფოდ გათავისუფლების მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეს ადამიანები უახლოეს პერიოდში არ გათავისუფლდებიან, ჩვენ უკვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად ვიმუშავებთ საერთაშორისო საზოგადოების მობილიზებაზე და პირველ რიგში საქმის კურსში ჩავაყენებთ ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებს“.**

მისივე ინფორმაციით, ჟურნალისტების გათავისუფლებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ცხელი ხაზის მეშვეობით მიმდინარეობს.

„შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ჩვენ გვაქვს ინფორმაცია დაკავების შესახებ. ჩვენი ცხელი ხაზის საშუალებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები. აქტივირებულია ცხელი ხაზი, რომელიც ეხმარება მხარეებს, დაუკავშირდნენ ერთმანეთს და მიდის მოლაპარაკებები, რათა ეს ადამიანები რაც შეიძლება მალე გაათავისუფლონ“, — განაცხადა EUMM-ის პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა ნინო სუხიტაშვილმა. მისივე ინფორმაციით, მოლაპარაკებებში ჩართულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლები. რაც შეეხება დაკავებულთა ადგილმდებარეობას, ევროკავშირის მისიისთვის ეს ინფორმაცია უცნობია.

ცხინვალის საინფორმაციო სააგენტო „რესი“ ავრცელებს „პრეზიდენტის“ ოფიციალური წარმომადგენლის პოსტკონფლიქტურ საკითხებში მურატ ჯიოევის განცხადებას: **„სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს, რომლებმაც რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი დაარღვიეს. წინასწარი ინფორმაციით, დაკავებულები ქართველი ჟურნალისტები არიან. ამ დროისთვის მათი ვინაობა და მათ მიერ საზღვრის დარღვევის გარემოება დგინდება”.**

„ვერსიანიუსი“

შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით, ადმინისტრაციულ ჯარიმებზე საურავები მცირდება

ალექსანდრე ჭიკაიძემ მთავრობის სხდომაზე განსახილველად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შესახებ ინიციატივა წარადგინა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელშიც გაიწერა საურავების დაკისრების ახალი მექანიზმი, კერძოდ, თუ პირი არ გადაიხდის ჯარიმას, მას დაეკისრება საურავი ჯარიმის ორმაგი ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. მაგალითისთვის, ახალი ინიციატივის მიხედვით, 10-ლარიანი ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მოქალაქეს დაერიცხება საურავი 20 ლარის ოდენობით. საურავის დაკისრების ამგვარი მექანიზმი ხელს შეუწყობს თანაზომიერების პრინციპის განმტკიცებას და ადმინისტრაციული გადაცდომის შემთხვევაში ადეკვატური ოდენობის სახდელის დანერგვას. მოქმედი კანონმდებლობით, თუ მოქალაქე დადგენილ 30 დღის ვადაში ვერ გადაიხდის მასზე დაკისრებულ ჯარიმას, 100 ლარამდე ჯარიმის შემთხვევაში, მას ერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 100 ლარზე მეტი ოდენობის ჯარიმის შემთხვევაში — 500 ლარის ოდენობით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ასევე შეიმუშავა ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობის გამო ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენის შემდეგი ფორმულა: თუ ჯარიმის ოდენობა არ აღემატება 100 ლარს და სამართალდამრღვევი გადაიხდის დაკისრებული ჯარიმისა და საურავის ორმაგ ოდენობას, სამართალდამრღვევს აღუდგება ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისთვის ჩამორთმეული მართვის უფლება, ხოლო თუ დაკისრებული ჯარიმის ოდენობა აღემატება 100 ლარს – მართვის უფლების აღდგენა შესაძლებელი იქნება დაკისრებული ჯარიმისა და საურავის ერთნახევარი ოდენობის გადახდის (მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარისა) შემთხვევაში.

მოქმედი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის გამო შეჩერებული მართვის უფლების დასაბრუნებლად მოქალაქემ უნდა გადაიხადოს საურავი და დამატებით 500 ლარიანი ჯარიმა, თუ მართვის უფლება შეჩერებულია 6 თვის ვადით, ხოლო თუ შეჩერებულია 1 წლის ვადით – საურავთან ერთად 1000-ლარიანი ჯარიმა.

გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯარიმის გადახდა ხდება სწრაფი გადახდის ტერმინალების მეშვეობით. მოქალაქეები ხშირად ვერ ამჩნევენ ტერმინალების მომსახურებისთვის დაწესებული საკომისიოს არსებობას და სახელმწიფო ბიუჯეტში ხორციელდება დაკისრებული ჯარიმის ოდენობის არასრულად ჩარიცხვა. აღნიშნულის საფუძველზე, ჯარიმა არ ითვლება გადახდილად, შესაბამისად მათ ეკისრებათ საურავი და დადგენილი ვადით უჩერდებათ მართვის უფლება. როდესაც მოქალაქისთვის ეს ხდება ცნობილი, ის მიმართავს საპატრულო პოლიციას საურავისა და მართვის უფლების შეჩერების გაუქმების მოთხოვნით, მაგრამ ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. შსს-ს ინიციატივით, ასეთ შემთხვევებში სამართალდამრღვევს მიეცემა შესაძლებლობა გადაიხადოს საბანკო დაწესებულებისა თუ ელექტრონული გადახდის საშუალებით მომსახურებისთვის დადგენილი საფასური (1-დან 3 ლარამდე) და აღნიშნულის შესახებ მიმართოს საპატრულო პოლიციას დარიცხული საურავის გაუქმებისა და მართვის უფლების აღდგენის შესახებ.

„ვერსიანიუსი“

მიტროპოლიტი ანდრია გვაზავა ხელისუფლებას თხოვნით მიმართავს

გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია გვაზავა ხელისუფლებას სთხოვს, მოლაპარაკებების დროს საოკუპაციო ხაზს იქეთ მოქცეულ ქართულ სალოცავებთან მისვლის შესაძლებლობის საკითხი დააყენოს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გორისა და ატენის ეპარქიაში განუცხადეს, გორის რაიონის სოფელ აძვის ორი ეკლესიის, წმინდა გიორგისა და ღვთისმშობლის სახელობის მცირე ტაძრის საოკუპაციო ხაზს იქეთ მოხვედრის შესახებ მეუფე ანდრიამ ადგილობრივებისგან შეიტყო და იმავე დღეს აძვში ჩავიდა. მოსახლეობის განცხადებით, ოკუპანტებმა სოფლის სახელწოდებით ფირნიში სამი კვირის წინ დადგეს.

თავად მიტროპოლიტ ანდრიას თქმით, გორის რაიონში საოკუპაციო ხაზს იქეთ უკვე სასაფლაოსთან ერთად არაერთი სალოცავი მოექცა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ უფრო ადრე ეს განხორციელდა პირბალსა და ოტრებში.

„ეს პირველი შემთხვევა არ არის. ადამიანებს არ აქვთ შესაძლებლობა, მივიდნენ სასაფლაოებზე და ილოცონ ტაძრებში. ზოგიერთი მათგანი მოსახლეობამ 90-იან წლებში აღადგინა. ტრადიციულად, აძვის წმინდა გიორგის ტაძარში გიორგობას გარშემო სოფლების მოსახლეობა ზეიმობდა. ტაძრის გარშემო უძველესი მუხნარი და სასაფლაოებია. ადგილობრივებისთვის ეს მნიშვნელოვანი ადგილია, რომელიც მათი წინაპრებისა და მათ ისტორიას უკავშირდება. ასეთი ფაქტები მოსახლეობის გულისტკივილსა და გაღიზიანებას იწვევს“, — დასძინა მეუფე ანდრიამ.

მიტროპოლიტმა თხოვნით მიმართა ხელისუფლებას, საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკებების დროს დააყენოს საკითხი, რათა საოკუპაციო ხაზს იქეთ მოხვედრილ მამა-პაპათა სალოცავებსა და სასაფლაოებზე ქართულ მოსახლეობას მისვლის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

მეუფემ დასძინა, რომ ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც საოკუპაციო ხაზსმიღმა მოქცეულ სასაფლაოზე მეუღლის გვერდით გარდაცვლილის დაკრძალვის შესაძლებლობა არ მიეცათ.

ამასთან, სოფელი აძვის ოკუპაცია 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მოხდა.

„ინტერპრესნიუსი“

ევროკავშირმა იმ რუს მაღალჩინოსანთა სია გაზარდა, ვისაც სანქციები დაუწესა

ევროკავშირმა იმ რუს მაღალჩინოსანთა სია გაზარდა, ვისაც უკრაინაში განხორციელებული ქმედებების გამო, სანქციები დაუწესა, — ამის შესახებ ინფორმაციას „ევრონიუსი“ ავრცელებს. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში კეტრინ ეშტონის განცხადებით, სანქციები გულისხმობს ევროკავშირის ტერიტორიაზე მათთვის შესვლის აკრძალვასა და მათი საბანკო აქტივების გაყინვას.

„ჩვენ სრულად ვგმობთ უკრაინის აღმოსავლეთ ქალაქებში შეიარაღებული პირების ქმედებებს. უკრაინის დესტაბილიზაციის ყველა მცდელობა უნდა შეწყდეს“, — განაცხადა კეტრინ ეშტონმა.

ამასთან, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თქმით, ევროკავშირი მხარს უჭერს უკრაინის ერთიანობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

„მოვუწოდებთ რუსეთს, გაიყვანოს ჯარები უკრაინის საზღვრებიდან“, — აღნიშნა ქეთრინ ეშტონმა.

„ინტერპრესნიუსი“

ახალაიების ახალი ფაქტორი და დაანონსებული „ეროვნული მოძრაობა“

გიორგი იაშვილი

ამ სტატიის დაწყება ანდაზით ან შაირით მინდოდა. მაგალითად ისეთით, როგორიც არის „ვაშლი ვაშლის ხისგან შორს არ ვარდება“, ან „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წამოდინდების“, ან „აქეთ ფიცარი, იქეთ ფიცარი“... მაგრამ ვიცი, მაინც მომიწევს იმ ადგილამდე მისვლა, რომლის გამოც ბევრი გამაკრიტიკებს, მაგრამ მაინც უნდა დავწერო. იქამდე კი...

ზუგდიდელებისგან ვიცი, როლანდ ახალაია ის კაცია, თავისი შვილები გინდ წინ დაუყენე, გინდ უკან, სიკეთეს მაინც ვერ დაანახებს. მისი თარგი მხოლოდ მის სარგებელზე იჭრება და სხვა დანარჩენი, უბრალოდ, არ აინტერესებს. წლების განმავლობაში ნაპროკურორალმა ნესტორიჩმა არაერთი და ორი კაცი გადაიკიდა მტრად და მერე შვლებმაც არ დააკლეს. ზუსტად ისეა რა, დედა ნახე, მამა ნახე, შვილები ისე გამონახეო. როცა ახალაიებმა იგრძნეს, შესაძლებელი იყო ხელისუფლება შეცვლილიყო, ნესტორიჩმა პარლამენტარის იმუნიტეტი მოირგო, დათამ გაქცევით უშველა თავს, ბაჩომ კი ტანჯულის მანტია ირჩია და ციხეში ჩაჯდა. დათასგან ცოტნე დადიანობას არავინ ელის, იმედი იმისა, რომ საქართველოში საკუთარი ნებით ჩამოვა, მის მიერვე გამწარებული ხალხის სისხლით შეიღებავს სხეულს და ძმის გვერდით დაჯდება, ფუჭია. ნესტორიჩის იმუნიტეტს კი ისეთი პირი უჩანს, ქარი წაიღებს, არ არის გამორიცხული, მამა-შვილი ახალაიები ისევ ერთად მოხვდნენ და პოლიტიკური „იუმორინას“ სცენარი ციხიდან წერონ.

კარგად ხვდება ნესტორიჩი, რომ წყალი აქვს შემდგარი და ამიტომ ისეთ პოლიტიკურ აქტიურობას აპირებს, შემდეგ დევნილ-ტანჯულის მანტია რომ მოირგოს და საქართველოში ჩამოსულ ევროპელებს მისი გუნდის წევრებმა თავი შეაცოდონ, ნახეთ, რა დღეში ვართო. მეორეს მხრივ, ისაა საკვირველი, უფროსი ახალაია რომ გაიძახის, ჩემს ოჯახზეა აგრესიაო. მთელი 9 წლის განმავლობაში მისი ოჯახი ნადირობდა ქართველ ხალხზე და, თუ დათა პატარ-პატარა სპეცოპერაციებით იკმაყოფილებდა სისხლის წყურვილს, ბაჩო მასშტაბურად აკეთებდა ამას და ჟინის მოსაკლავ მარაგს ერთიანად იღებდა. ისიც მიკვირს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი მეთაური გია ბარამია რატომ არის ჩუმად, რატომ არ ამბობს, რა მოხდა წლების წინ და რატომ გაუერთიანეს ახალაიებმა თავ-ყბა. შესაძლოა, ვინც ეს ისტორია იცის, შემედავოს, არაეთიკურია ახლა ამის თქმაო და ის ეთიკური იყო, დათა მეგის ქარდავას ხელით ისეთ ვიდეოჩანაწერებს რომ აკეთებდა, რისი ყურებაც 18-წლამდე ასაკის მოზარდებისთვის რეკომენდებული არ არის.

ახლა რაც შეეხება შეცდომას, რომელიც ჩემი (და არამარტო ჩემი) აზრით, თავის დროზე საქართველოს პატრიარქმა დაუშვა. უწმინდესმა როლანდ ახალაიას წმინდა გიორგის ორდენი გადასცა. მაშინაც, ამ ნაბიჯმა გაურკვევლობა გამოიწვია, თუმცა საპატრიარქოსთან დაახლოებულმა პირებმა აგვიხსნეს, პატრიარქმა სცადა, თავისი კეთილი ქმედებით მასში უარყოფითი შეესუსტებინა და დადებითი გაეძლიერებინაო, მაგრამ...

...მაგრამ ის კი არავინ თქვა, რომ ამ ორდენის მიღების შემდეგ ახალაიამ თავი ღმერთად წარმოიდგინა, ისედაც დაჩაგრულ მოსახლეობას უფრო ზემოდან დახედა და გამოუცხადა, პრეზიდენტი მხარს მიჭერს, პატრიარქი მხარს მიჭერს და შეეცადეთ, არ გამაბრაზოთ, ყველაფრის ნება მაქვსო. სწორედ იმ ორდენის მიღებას აბრალებს ბევრი იმას, რომ 2012 წელს ახალაიამ საპარლამენტო არჩევნები მოიგო და ახლა იმუნიტეტს ისე ებღაუჭება, როგორც თავის დროზე ებღაუჭებოდნენ ნაციონალები ხელისუფლებას. არ იყო ეს კარგი გადაწყვეტილება, ვინც პატრიარქს ამის გაკეთება ურჩია, აშკარად შეცდომაში შეიყვანა და თუ გვინდა, მომავალში ანალოგიური რამ აღარ განმეორდეს, ამის შესახებ ხმამაღლა საუბარი არ უნდა მოგვერიდოს.

სწორედ ამ ორდენით მკერდდამშვენებული დააბიჯებს ახალაია ზუგდიდის ქუჩებში და ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყებასაც აანონსებს. ეს მოძრაობა შარშან ნაციონალებმაც დააანონსეს და ერთმა ჩემმა კოლეგამ ამ ყველაფერს „ახ-ერ-მოძი“ დაარქვა, რაშიც კატეგორიულად არ ვეთანხმები. ამ მოძრაობას მხოლოდ „მოძი“ უნდა ერქვას, რადგან მთელი 9 წლის მანძილზე „მოძი“ იყო და ახლა რა „გაა-ახ-ერებს“. ეს ერთის მხრივ, თორემ მეორე მხარე უფრო საინტერესოა. ახალაიას მხარდამჭერები ჯერ ჩუმად, მაგრამ მაინც ამბობენ, რომ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას შემდეგ, ქართველი ხალხის რჩეული სწორედ როლანდ ახალაია გახდება და იგივე ეკლიან გზას გაივლის, რომელიც მართლა ეროვნულმა გმირებმა გაიარეს. საპრეზიდენტო ამბიცია ნესტორიჩს, სავარაუდოდ, არ ექნება, მაგრამ ბაჩანა აქ არ არის?! ახალაიების გათვლით, სამეგრელოს „დაქოქვა“ თუ მოხერხდება, მერე აგორებული ტალღის შეჩერება ძნელი იქნება, რადგან სამეგრელოდან დაიწყეს ზვიადმა და მერაბმა, სამეგრელოდან დაიწყო სააკაშვილმა და...

ნესტორიჩ, იმ სამეგრელოს „დაქოქვა“ გინდა საშენოდ, წლების განმავლობაში ტერორში რომ გყავდა?! თუ იმ სამეგრელოსი, დღემდე რამდენიმე კაცის მკვლელობას რომ გედავება?! თუ იმისი, ქუჩაში ლინჩის წესით გასამართლებით რომ გემუქრება?! რომელია შენი სამეგრელო, მართლა არ ვიცი. ახლა კი ხვდები თავადაც, რომ შენი კუთხის ხალხს, თავის დროზე, შესაბამისად რომ მოპყრობოდი, ახლა ეგებ მართლა დაგდგომოდნენ გვერდით, მაგრამ შენ მოქმედებდი პრინციპით „ბეი სვოიხ, ჩტობ ჩუჟიე ბოიალის“ და არ დამიწყო ახლა, მე რუსული არ ვიცი კარგადო. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ისეა შენი საქმე და ამ ხავსის სიმყარის იმედი რომ არ გაქვს, იმიტომ გინდა პარალელურად მიშასაც ჩაებღაუჭო და თუ ხავსი მოგიწყდა, კი დარჩები სააკაშვილზე ჩამოკონწიალებული. არადა, ნაპრეზიდენტალს აშკარად ეტყობა, ბევრი რამე უკონწიალებს და საქართველოში ჩამოსვლას მანამ არ აპირებს, სანამ ყარსის ციხის ამღები გენერალივით არ დახვდებიან და გაჯგიმული არ მივა თქვენს მიერ დაანონსებულ ქართულ მაიდანსა თუ ქართულ ჯოჯოხეთში. მაიდნის რა გითხრათ, მაგრამ ჯოჯოხეთი არ გვიკვირს, 9 წელი ვცხოვრობდით და ნაციონალურ კუპრში ვიხარშებოდით.

P.S. სამეგრელოში სიტყვით გამოსვლისას გიგი უგულავამ განაცხადა, თუ ხელისუფლება გონს არ მოეგება, გამწარებული ხალხის რევოლუციას მიიღებსო. მართალი ხარ გიგი, თუ ხელისუფლება გონს არ მოეგება, გამწარებული ხალხის სამართალს მიიღებს, იმ სამართალს, თქვენ რომ ასე გეშინიათ და მეეჭვება, მხოლოდ კვერცხების მოგერიებით გადარჩეთ.

რუსუდან შელია
557-100-768

წინასაარჩევნო ციებ-ცხელება აქტიურ ფაზაში გადადის, საქართველოს პრემიერ-მინისტრი კი საარჩევნო კამპანიაში ჩართული პირების დაკავებაზე მორატორიუმს აცხადებს და სამართალმდაცავ ორგანოებს მიმართავს, მსგავსი გადაწყვეტილება მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მიიღონ. თუმცა ნაციონალური მოძრაობის წევრები ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივას კლასიკურ ფარისევლობად აფასებენ, არგუმენტად კი პარტიის წევრების მიმართ აღძრულ არაერთ საქმეს ასახელებენ. სანამ მმართველი გუნდი და ოპოზიცია წინასაარჩევნო გარემოზე მსჯელობენ, საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის საგარეო პერსპექტივებზე „დარდობს“ და ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მიერ ორგანიზებულ აქცია-კონცერტზე მიდის... მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს „ვერსიასთან“ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი აფასებს.

ექსკლუზიური ინტერვიუ გიგლა აგულაშვილთან



— პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნება“ თითქმის ყველა მიმართულებით ახალი სტანდარტის დამკვიდრებას ცდილობს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კოალიციის მიერ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საარჩევნო გარემო, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. პრემიერის ინიციატივა, მორატორიუმთან დაკავშირებით, ფორმალური გადაწყვეტილება არ არის და ამ მიმართულებით გადადგმული მორიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მოწინააღმდეგეს არ უნდა მივცეთ საბაბი, არჩევნების წინ პოლიტიკურ დევნაზე ისაუბროს.

— ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურ დევნაზე ისედაც დიდი ხანია საუბრობს, ბოლო პერიოდში მათ წინააღმდეგ ორგანიზებულმა საპროტესტო აქციებმა კი ამის თქმის „საბაბი“ გააორმაგა. პრემიერის ინიციატივა მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობაზეა გათვლილი თუ იმ პირებსაც არ დააკავებენ, რომლებიც ოპოზიციის წარმომადგენლებს კვერცხებს უშენენ?

— ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ პრემიერის ინიციატივა ყველასთვის ობიექტური და მკაცრი იქნება! თუ რომელიმე პოლიტიკურ ძალას, მათ შორის, ნაციონალურ მოძრაობას მშვიდობიანი აქციების ჩატარება ან მოქალაქეებთან შეხვედრა სურს, მათი ჩაშლის უფლება არავის აქვს. ამ ქვეყანაში აზრის გამოთქმის შესაძლებლობა თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს, რაც ჩვენი კონსტიტუციითაც გარანტირებულია, ამიტომ ადამიანის უფლებების დაცვისას შეუვალნი ვიქნებით. ჩემი აზრით, ცალკეულ ოპოზიციურ ძალებს გამოხატვის მეტი შესაძლებლობა უნდა მივცეთ, რადგან ასე პარტიები თვითლუსტრაციას მოახდენენ. ფაქტია, ნაციონალურმა მოძრაობამ გადაწყვიტა, პოლიტიკურ დებატებში ლეიბორისტულ პარტიას შეეჯიბროს. შესაბამისად, სანაძლეოს დავდებ, რომ მათი რეიტინგი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ განახევრდა, ამიტომ ნაციონალებს, მართლაც, მეტი დაფიქრება მართებთ.

— ნაციონალური მოძრაობის რეიტინგზე თქვენ რატომ დარდობთ?

— ნამდვილად არა, პირიქით, ამ მხრივ საერთოდ არ ვნერვიულობ, ღმერთმა ხელი მოუმართოს! უბრალოდ, ეს ტაქტიკა მათი რეიტინგის ვარდნას განაპირობებს. სამწუხაროდ, ამ ფონზე სხვა პოლიტიკურმა ძალებმა კონსოლიდირება ვერ მოახერხეს.

— „ქართული ოცნებაც“ ნაციონალურ მოძრაობასთან ოპონირებისას უფრო კომფორტულად ხომ არ გრძნობს თავს, საპარლამენტო ოპოზიციის თითქმის ყველა ბრალდებას 9-წლიანი მმართველობის შეხსენებით პასუხობთ.

— ზოგჯერ ადამიანები საკუთარ უსუსურობას სხვას აბრალებენ. ასე დაემართა არასაპარლამენტო ოპოზიციასაც. ადამიანები, რომლებიც მუდმივად ერთიანობაზე გაჰკივიან, საქმით მხოლოდ ერთიანობას შლიან. ა, ბურთი და ა, მოედანი, ძმაო... თუ ხედავთ, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალები გარიგდნენ და ერთად თავს კარგად გრძნობენ, ორივე ძალის წინააღმდეგ გაერთიანდით! არასაპარლამენტო ოპოზიციას, დაქსაქსულობის გამო, მეორე ადგილზე გასვლაც უჭირს.

— ცოტა ხნის წინ ნაციონალური მოძრაობის განახევრებულ რეიტინგზე საუბრობდით და ახლა მოახლოებულ არჩევნებში მეორე ადგილს უწინასწარმეტყველებთ?

— ჩემი აზრით, არასაპარლამენტო ოპოზიციას ნაციონალებისთვის ღირსეული კონკურენციის გაწევა გაუჭირდება და ამ შემთხვევაში მმართველი კოალიციის „თანამშრომლობა“ არაფერ შუაშია. ნაციონალური მოძრაობის მიერ დაკარგული რეიტინგი მათ უნდა აეღოთ, რაც, სამწუხაროდ, ვერ მოახერხეს.

— ისე, როლანდ ახალაიამ ახალი ეროვნული მოძრაობაც დააანონსა... არადა, ყოფილი პროკურორი და თქვენც ეროვნულ მოძრაობას არ ებრძოდით?!

— არა... ეროვნული მოძრაობის მიერ ორგანიზებული ქუჩის აქციების მონაწილე არასოდეს ვყოფილვარ, რადგან ამის უფლება სამსახურებრივად არ მქონდა. 1990 წლიდან სახელმწიფო სამსახურში ვიყავი — 10 წელი პროკურატურაში, შემდეგ კი, იუსტიციის სისტემაში. გახმაურებული საქმეებიდან საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული პირველი და მეორე ტერაქტის გამოძიებას ვხელმძღვანელობდი... კი, ბატონო, მაშინ პირველი პრეზიდენტის მომხრეებმა ბრძოლის ეს გზა აირჩიეს, მაგრამ, თუ ვინმემ დანაშაული ჩაიდინა და პასუხიც აგო, ეს ეროვნული მოძრაობის დევნად არ მიმაჩნია. ვინც ასე ფიქრობს, კი ბატონო, შემფასებელი თავისუფალია... რაც შეეხება როლანდ ახალაიას, ძნელია, იყო ასეთი ტრაგიკული ადამიანი და რთულია ამ ვითარებაში ადეკვატურობის შენარჩუნებაც. ის იყო გამორჩეული როგორც მშობელი, სასახელო შვილების პატრონი...

დასასრული მე-4 გვერდზე

ბათუმის პორტს საეჭვო რეპუტაციის კრიმინალი მართავს?

ვინ არის „ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგის“ დირექტორი ტალგატ ბაიტაზიევი, რომელიც ქართულ კომპანია „ტრანსისტემს“ ავიწროებს

ოთხშაბათს, 16 აპრილს, კომპანია „ტრანსისტემის“ ადვოკატი დიმიტრი გაბუნია მთავარ პროკურატურაში სარჩელს შეიტანს. ბათუმის პორტის მმართველი კომპანია „ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგის“ დირექტორს, წარმოშობით ყაზახ ტალგატ ბაიტაზიევს ქართული და საერთაშორისო კომპანიები ხელშეკრულების პირობების უხეშ დარღვევაში ადანაშაულებენ. დიმიტრი გაბუნია აპირებს, სარჩელით მიმართოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს, ხოლო ოფიციალურ წერილს გაუგზავნის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ყაზახეთის საელჩოს საქართველოში და კომპანია „ყაზტრანსოლის“ ხელმძღვანელობას, რომლის ოფიციალური წარმომადგენელია „ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგი“.

კომპანია „ტრანსისტემის“ დირექტორის, გელა ლაითაძის განცხადებით, ეს კომპანია ბათუმის პორტის ბაზარზე, წარმატებით ოპერირებს და ნავთობპროდუქტების გარდა, მხოლოდ მშრალი ტვირთების გადაზიდვითაა დაკავებული. „ტრანსისტემის“ ბათუმის პორტში შესვლამდე, მშრალი ტვირთების გადაზიდვის საშუალო მაჩვენებელი 1 000 000 ტონა იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც პორტში „ტრანსისტემი“ შევიდა, ტვირთების მოცულობა სამჯერ გაიზარდა. გელა ლაითაძის თქმით, 2013 წლის პირველი კვარტლის შემდეგ, ტალგატ ბაიტაზიევმა „ტრანსისტემის“ შევიწროება დაიწყო, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ პარალელურ რეჟიმში, რამდენიმე ახალი კომპანია შექმნა, რომლებსაც მისი ნათესავები მართავენ. ერთ-ერთმა ახლადშექმილმა კომპანია „ჯპმს გრუპმა“, მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილება არ ჰქონდა, 2013 წლის ივნის-ივლისში, ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლითაც ამ კომპანიას ნავსადგურის საბაზისო ტარიფებიდან 20%-იანი ფასდაკლება მისცეს, თანაც ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე.

„ტალგატ ბაიტაზიევი მიზანმიმართულად ავიწროებს „ტრანსისტემს“, მეტიც, ადგილი აქვს კორუფციულ გარიგებებსაც. ვფიქრობთ, ამ პიროვნების საქმიანობით ქართველი სამართალდამცველები აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ, რადგან საქმე ეხება ბათუმის პორტს, რომელიც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენს. ახლა კი ბათუმის პორტს საკმაოდ საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანი მართავს. ტალგატ ბაიტაზიევი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კონკრეტულ კომპანიებს, არამედ ბათუმის პორტის განვითარებას, რაც ბუნებრივია, უარყოფით გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკაზე“, — აღნიშნა კომპანია „ტრანსისტემის“ ადვოკატმა, ДИМИТРИ ГАБУНИАМ.

სარჩელში, რომლითაც დიმიტრი გაბუნია საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართავს, დეტალურადაა აღწერილი, ვინ არის და რას წარმოადგენს ტალგატ ბაიტაზიევი. ბაიტაზიევის დოსიე ადვოკატმა ყაზახურ პრესაზე დაყრდნობით შეადგინა და გაარკვია, რომ ის ჩვეულებრივი კრიმინალია: **„ტალგატ ბაიტაზიევი „ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგის“ დირექტორად 2012 წლის დეკემბერში დაინიშნა. მისი საეჭვო რეპუტაციის შესახებ, ყაზახურ მედიაში არაერთი სტატია გამოქვეყნდა. ადგილობრივი მედიასაშუალებების ცნობით, იმ საწარმოს წინააღმდეგ, რომელსაც ტალგატ ბაიტაზიევი ხელმძღვანელობდა, ყაზახეთის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ბაიტაზიევი ყაზახეთში, ნავთობის სკანდალშიც გაეხვია, რომელიც 2013 წლის თებერვალში დაიწყო და მასზე ძებნაც კი გამოცხადდა. ტალგატ ბაიტაზიევს ბრალად ედებოდა 35 ადამიანისგან შემდგარი კრიმინალური დაჯგუფების შექმნა, რომელმაც სახელმწიფოს 71 მილიარდი ტენგეს (ყაზახეთის ეროვნული ვალუტა) ზარალი მიაყენა. ყაზახეთის საინფორმაციო საშუალებების ინფორმაციით, ბაიტაზიევი ატირაუს რეგიონში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორად მუშაობდა და სწორედ ამ რეგიონში მოქმედებდა მის მიერ შექმნილი კრიმინალური დაჯგუფება. დაჯგუფების წევრები, უკანონო შემოსავლების ლეგალიზების მიზნით, კომპანიებს ქმნიდნენ. „ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგის“ დირექტორი, სწორედ მსგავსი კომპანიების შექმნასა და შავი ფულის გათეთრებაშია ეჭვმიტანილი“,** — აცხადებს დიმიტრი გაბუნია.

დიმიტრი გაბუნიას მასალებში ყაზახი ჟურნალისტის, დენის ყარამანოვის ინფორმაციაც გვხვდება, რომლის მიხედვითაც ტალგატ ბაიტაზიევი გამოძიებას კვიპროსში ემალება. ჟურნალისტის მოსაზრებით, სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც ბაიტაზიევი ბათუმში იშვიათად ჩადის და საერთოდ არ ჩნდება სამშობლოში. ყაზახეთის პროკურატურის ცნობით კი, ბაიტაზიევის მიერ შექმნილი კრიმინალური დაჯგუფება ნავთობით უკანონო ვაჭრობაშიც იყო ჩართული. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია 200 000 ტონა ნავთობის უკანონო რეალიზაციის ფაქტზე, საიდანაც 33 000 ტონა ქვეყნის შიგნით გაიყიდა, ხოლო 168 000 ტონა ნავთობი, ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე, ექსპორტზე გაიტანეს.

„სქემა, რომლითაც ბაიტაზიევის კრიმინალური დაჯგუფება მოქმედებდა, ზედმიწევნით მარტივი იყო. დაზარალებული მეწარმეების თქმით, ამ სქემის მთავარი მოქმედი პირი ატირაუს ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილე, რუფატ ხურჟალაკოვი იყო. ის ითანხმებდა მცირე ტრეიდერებს, რომლებსაც სერიოზული პოლიტიკური მხარდაჭერა ან დიდი კაპიტალი არ ჰქონდათ, რათა ეთანამშრომლათ კრიმინალური დაჯგუფების წევრების მიერ შექმნილ კომპანიებთან და არა უშუალოდ ქარხანასთან. საბოლოოდ, მკაცრი პირობების გამო, ბიზნესმენები იძულებულები იყვნენ, ამ ტიპის თანამშრომლობაზე დათანხმებოდნენ, თავის მხრივ კი ეს კომპანიები აღებულ ვალდებულებებს არ ასრულებდნენ. დაზარალებული კომპანიების წარმომადგენლებმა სასამართლოს მიმართეს და გაარკვიეს, რომ მოპასუხე მხარის ანგარიშები ცარიელი იყო. მეწარმეებმა საჩივრით მიმართეს ყაზახეთის მთავრობას და „ყაზმუნაიგაზის“ ხელმძღვანელობას, რადგან ატირაუს ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა სწორედ „ყაზმუნაიგაზის“ შემადგენლობაში შედის. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ტალგატ ბაიტაზიევი გენერალური დირექტორის პოსტიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მის მიერ შემუშავებული სქემა დღემდე მოქმედებს, რის შედეგადაც ყაზახეთში დაზარალებული მეწარმეების რიცხვი იზრდება“, — ამბობს დიმიტრი გაბუნია.

მისი თქმით, ტალგატ ბაიტაზიევს შეგნებულად და მიზანმიმართულად მიჰყავს ბათუმის პორტი კოლაფსამდე, სადაც ტვირთების გადაზიდვა შემცირდა. იმის გამო, რომ საეჭვო რეპუტაციის მქონე ბაიტაზიევი „ტრანსისტემს“ მიზანმიმართულად ებრძვის, „ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგთან“ კონტრაქტს წყვეტს და საქართველოს მთავრობას აფრთხილებს, ამ ფაქტებით დაინტერესდეს!

მაია მიშელაძე

პოლიტიკა

ექსკლუზიური ინტერვიუ გიგლა აგულაშვილთან

მე-3 გვერდიდან

— თქვენთვის „გამორჩეული“ და „სასახელო“ ახალაიების ოჯახი როდიდან გახდა?

— მე ახალაიას თვითშეფასებაზე ვსაუბრობ... ამიტომ ვამბობ, მაშინდელი განცდა დღევანდლისგან აბსოლუტურად განსხვავდება. წმინდა ადამიანური თვალსაზრისით ვაფასებ... ახალი ეროვნული მოძრაობის დამწყებად კი, როლანდ ახალაიას ვერ აღვიქვამ, თუმცა არ მინდა ამ თემის განხილვა იმის გამო, რომ ოჯახის პატრონი და მამა მძიმე მდგომარეობაშია.

— პროკურატურის გადაწყვეტილებაშიც ეჭვი ხომ არ გეპარებათ? ისე, მსგავს თანაგრძნობას იმიტომ ხომ არ იჩენთ, რომ თქვენ და როლანდ ახალაია წლების განმავლობაში კოლეგები იყავით და პროკურატურაშიც ერთად მუშაობდით.

— ვიცი, ახალაიების მიმართ სერიოზული ბრალდებები არსებობს, რაშიც ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება. რაც შეეხება ჩვენ ურთიერთობებს, არ მახსოვს, როლანდ ახალაიასთვის ხელიც თუ მაქვს ჩამორთმეული. ახლა პარლამენტში უფრო ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ვიდრე ადრე პროკურატურაში. ის რიგითი პროკურორი იყო და სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა. უბრალოდ, 2003 წელს, როცა სამხარეო პროკურატურაში მუშაობდა, პროკურატურა პირველმა გააკრიტიკა. ეს ზუსტად ის პერიოდია, როცა მიხეილ სააკაშვილი მაღალჩინოსნების ფოტოებს აფრიალებდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ როლანდ ახალაიას განცხადება შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ამას მისი და შვილების კარიერული წინსვლა მოყვა. ზოგადად, როლანდ ახალაიას მიმართ პროტესტი არასოდეს გამჩენია, არც ახლა მაქვს და არც მომავალში მექნება.

— მაშინაც კი, როცა წლების განმავლობაში მის წინააღმდეგ საკმაოდ მძიმე ბრალდებები ისმოდა?

— რა თქმა უნდა, დაახლოებით, ვიცი, მის მიმართ წაყენებული ბრალის შესახებ, მაგრამ ამაზე პროკურატურამ უნდა ისაუბროს.

— ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების მიერ ორგანიზებულ აქცია-კონცერტზე გიორგი მარგველაშვილის მისვლის ფაქტიც შეაფასეთ. ფაქტობრივად, გუნდიდან გარიყულმა საქართველოს პრეზიდენტმა ეს ნაბიჯი დემონსტრაციულად ხომ არ გადადგა?

— თუ სამხრეთ კორეაში ცხოვრება გვინდა, კი ბატონო, ვიტყვი, რომ მარგველაშვილი ცუდად მოიქცა და ამ მხრივ, სხვა ვარიანტი არ არსებობს, ან პირიქით. გიორგი ქვეყნის პრეზიდენტია და სადაც უნდა, იქ მივა. თუ ის ოპოზიციური ძალის მიერ ორგანიზებულ აქციაზე მივიდა, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, რადგან მარგველაშვილი მხოლოდ კოალიციის პრეზიდენტი არ არის.

— თუმცა ბიძინა ივანიშვილმა ფავორიტი სწორედ იმის გამო გააკრიტიკა, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრის ძმა მრჩევლად აიყვანა...

— გაუგებრობა მხოლოდ რეზიდენციაში გადასვლის საკითხმა გამოიწვია, რადგან შენობაში შესვლის წინააღმდეგი სწორედ გიორგი იყო. თუ თავისუფალი სახელმწიფოსკენ ვისწრაფვით, მაშინ აზრთა სხვადასხვაობა არ უნდა გვაშინებდეს. ჩვენი სიმდიდრეც ისაა, რომ ხელისუფლებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

— სწორედ ამ აზრთა სხვადასხვაობის გამო გაჩნდა ვერსია, რომ გიორგი მარგველაშვილი გიგა ბოკერიასთან კონსულტაციებს მართავს.

— რაც შეეხება გიგა ბოკერიასთან კონსულტაციებს, საინტერესო ამბავია... ისიც კი მოვისმინე, ნაციონალური მოძრაობის ნაწილი, გიორგი მარგველაშვილი და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები შეთქმულებას ამზადებენო. ერთი ძველი პოლიტიკოსის ფრაზას გავიხსენებ — მანამ გვერდები არ აუდგეთ „კეთილისმსურველებს“.

ევროპული ანალოგი თუ უკან, სოციალიზმში გადადგმული ნაბიჯი — საბანკო ასოციაციის პრეზიდენტი სკეპტიკოსების შიშს არ იზიარებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს განვითარების სახელმწიფო ბანკი წლის ბოლომდე უნდა შეიქმნას. რამდენიმე დღეა, ამასთან დაკავშირებით აჟიოტაჟი არ ცხრება, ექსპერტების ნაწილი მთავრობის ინიციატივას სკეპტიკურად უყურებს და განვითარების ბანკის შექმნაში, რომელმაც სახელმწიფოს ფინანსები უნდა მართოს, საბჭოთა წარსულის ნოსტალგიას ხედავს. ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის მტკიცებით, საქართველოს განვითარების სახელმწიფო ბანკი კომერციული სტრუქტურა არ იქნება და არც კომერციულ ბანკებს გაუწევს კონკურენციას.

გზა სუვერენული ფონდიდან სახელმწიფო ბანკამდე

თავის დროზე, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით შექმნილი „საპარტნიორო ფონდის“ მიზანი შეფერხებული პროექტების დასრულება, ინვესტიციების მოზიდვა, სამუშაო ადგილების შექმნა და ეკონომიკის განვითარება იყო. „ვერსიასთან“ ინტერვიუში, „საპარტნიორო ფონდის“ თავმჯდომარემ, ირაკლი კოვზანაძემ ამ სტრუქტურის რეორგანიზაცია დააანონსა და აღნიშნა, რომ წლის ბოლომდე, საპარტნიორო ფონდი სუვერენულ ფონდად გადაკეთდებოდა. ირაკლი კოვზანაძის თქმით, სუვერენული ფონდები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს, ინვესტორს კი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მსხვილი პროექტის განხორციელებას გეგმავს და, რომელსაც სახელმწიფოს გარანტია სჭირდება, გარანტორად სწორედ სუვერენული ფონდი ევლინება, რადგან ეს უკანასკნელი სახელმწიფოს სახსრებს განკარგავს.

მოგვიანებით გაირკვა, რომ არც საპარტნიორო და არც სუვერენული ფონდი არ იქნებოდა ისეთი ეფექტური, როგორიც განვითარების სახელმწიფო ბანკია. პრემიერ-მინისტრის აპარატთან არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრები, ამჟამად, განვითარების სახელმწიფო ბანკის კონცეფციაზე მუშაობენ, რადგან ამ ბანკის საქმიანობის დარეგულირებას ცალკე კანონი სჭირდება. სულ მალე, ეკონომიკური ჯგუფი კანონპროექტს მოამზადებს, რომელსაც განსახილველად პარლამენტში შეიტანენ, ხოლო განვითარების სახელმწიფო ბანკი წლის ბოლომდე შეიქმნება.

განვითარების სახელმწიფო ბანკი „საპარტნიორო ფონდის“ რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდება და იგივე მისია ექნება, რაც „საპარტნიორო ფონდს“ აქვს. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, შვიდწლიანი ვადით, განვითარების სახელმწიფო ბანკის პრეზიდენტად საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე მოიაზრება. ის, როგორც საქართველოს პარლამენტის ჩინეთთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი, რამდენიმე-დღიანი, არაოფიციალური ვიზიტით ჩინეთში იმყოფებოდა, სადაც ჩინეთის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტს, ლი გი პინგს შეხვდა. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, Facebook-ის საკუთარ გვერდზე აღნიშნა, რომ ჩინეთის განვითარების ბანკის პრეზიდენტმა საქართველოში ჩამოსვლისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის განმარტებით, განვითარების ბანკი მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს და მისი მთავარი ფუნქცია სტრატეგიული სახელმწიფო მიმართულებებისა და ინოვაციური პროექტების დაფინანსებაა, რასაც კომერციული ბანკები არ აფინანსებენ. როგორც საგანელიძე აცხადებს, პრემიერ-მინისტრთან არსებულ ეკონომიკურ ჯგუფთან ერთად, თავიდანვე ჩართული იყო იმ მუშა პროცესში, რასაც ბანკის ფუნქციების განსაზღვრა და კონცეფციის შემუშავება მოითხოვს. უმრავლესობის ლიდერის ვარაუდით, სწორედ ამ მდგომარეობამ განაპირობა ის, რომ მედიამ განვითარების სახელმწიფო ბანკის პრეზიდენტად დაასახელა.

განვითარების სახელმწიფო ბანკის ფუნქციები

რა მიზნით იქმნება განვითარების სახელმწიფო ბანკი ან რა ტიპის პროექტებს დააფინანსებს? რატომ დადგა დღის წესრიგში სახელმწიფო ბანკის შექმნა, რომელსაც კომერციული ბანკებისგან მკვეთრად გამიჯნული ფუნქცია ექნება? რამდენად რეალურია ეკონომიკის ცალკეული ექსპერტების შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ განვითარების სახელმწიფო ბანკის შექმნით, მთავრობა უკან, საბჭოთა რეჟიმში გვაბრუნებს? „ვერსიას“ კომერციული ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი **ზურაბ გვასალია** ესაუბრება:

— ბატონო ზურაბ, რატომ უნდა შეიქმნას განვითარების სახელმწიფო ბანკი?

— ეს წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან განვითარების სახელმწიფო ბანკი, კლასიკური გაგებით, კომერციული ბანკი არ არის. ეს ის ფინანსური შუამავალი არ არის, რომლის მთავარი ფუნქცია თანხის მოზიდვა და რეალური ეკონომიკის სექტორში განთავსება იქნება. განვითარების სახელმწიფო ბანკი არ დარეგულირდება „კომერციული ბანკებისა და ეროვნული ბანკის შესახებ კანონით“, მას ცალკე კანონი დაარეგულირებს, რომელსაც პარლამენტი დაამტკიცებს. ჩვენ ორდონიანი საბანკო სისტემა გვაქვს, არსებობს ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკები, მაგრამ ბევრ ქვეყანაში სამდონიანი საბანკო სისტემა მოქმედებს, სადაც ეროვნულ ან ცენტრალურ ბანკებთან, კომერციული და სპეციალიზირებული, სახელმწიფო ბანკებიც ფუნქციონირებს. განვითარების სახელმწიფო ბანკი ერთ-ერთი ფორმაა, რომლის მთავარი მიზანი და ფუნქცია, დიდი საინვესტიციო პროექტების განხორციელება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების მართვა და ქვეყნის გარედან თანხების მოზიდვაა, რათა საინვესტიციო პროექტებში ჩადოს. განვითარების სახელმწიფო ბანკი, დიდი და მსხვილი ინვესტორების პარტნიორია ქვეყნის შიგნით. განვითარების სახელმწიფო ბანკი კომერციული ბანკების კონკურენტი ვერასდროს იქნება, ის კომერციული ბანკების სექტორში არ შემოიჭრება, რადგან პროექტები, რომლებიც განვითარების ბანკმა უნდა დააფინანსოს, გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი, ასეთი პროექტებით კი კომერციული საბანკო სექტორი არ ინტერესდება. შესაძლოა, კომერციული ბანკი განვითარების ბანკის პარტნიორადაც კი მოგვევლინოს, რადგან როდესაც მსხვილი პროექტი ხორციელდება, მას აუცილებლად მოჰყვება წვრილი ინფრასტრუქტურული პროექტებიც და სწორედ ეს იქნება კომერციული ბანკების სამიზნე. რატომ აგორდა ასეთი აჟიოტაჟი და რატომ კეთდება აქცენტი, რომ განვითარების სახელმწიფო ბანკი ეფექტური არ იქნება, არ მესმის! მეტიც, ისიც კი მოვისმინე, რომ აქ შეიძლება კორუფციული საფრთხეც არსებობდეს, რაც აბსურდია და გამორიცხეთ, რადგან ეს იქნება გამჭვირვალე, მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებული უწყება. იმის გამო, რომ განვითარების ბანკმა სახელმწიფოს აქტივები და სახსრები უნდა მართოს, ბუნებრივია, მას აუდიტის სახელმწიფო სამსახური შეამოწმებს.

— როგორ გახდება კომერციული ბანკი განვითარების სახელმწიფო ბანკის პარტნიორი?

— განვიხილოთ შემოვლითი გზის ან დიდი მაგისტრალის პროექტი, რომელსაც განვითარების სახელმწიფო ბანკი განახორციელებს, ამ პროექტებს ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებიც ხომ მოჰყვება? როდესაც გზა გადის, იქ აუცილებლად უნდა აშენდეს სასტუმროები, ბენზინგასამართი სადგურები და ასე შემდეგ. ამ ტიპის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, კომერციული ბანკების საშუალებით, ხელში ბიზნესი აიღებს. გააქტიურებული ეკონომიკა და ბიზნესი, თავისთავად გაზრდის მოთხოვნას საბანკო რესურსზე, რომლითაც საკრედიტო პორტფელი გაიზრდება და სწორედ ამ ტიპის პარტნიორობას ვგულისხმობ.

— ექსპერტების აზრი ორად იყოფა, ოპონენტები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო კომერციული ბანკის შექმნა საბჭოთა სოციალისტურ რეჟიმში დაგვაბრუნებს...

— აბსურდია! როგორ, იაპონიაში რომ არსებობს განვითარების ბანკი, რომლის 100%-ს სახელმწიფო ფლობს, იქ კომუნიზმი და სოციალისტური წყობაა? ჩეხეთში რომ ჩეხეთის განვითარების ბანკი მოქმედებს, სოციალისტური რეჟიმია? ბულგარეთსა და გერმანიაშიც არსებობს განვითარების ბანკი, იქაც საბჭოთა კავშირია? საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის, ამ ტიპის ერთი ბანკიც საკმარისია, რომ ეკონომიკა განვითარდეს. წარმოიდგინეთ, ახლა სახელმწიფოს საკუთარი აქტივები სხვადასხვა ფონდებში აქვს გაფანტული, ამ აქტივების მართვას კი სერიოზული მენეჯმენტი სჭირდება. მეტიც, როდესაც ქვეყანაში მსხვილი ინვესტორი შემოდის და ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელ, დიდი პროექტის განხორციელებას იწყებს, ამ ინვესტორს გარანტიები ვინ უნდა მისცეს? ის ხომ აუცილებლად სახელმწიფოს გარანტიებს მოითხოვს და ამ შემთხვევაში, სახელმწიფომ როგორ უნდა მისცეს გარანტია, ბიუჯეტით ხომ არ დაუდგება გვერდით? განვითარების სახელმწიფო ბანკს შეუძლია არა მარტო ინვესტორის გარანტორი გახდეს, არამედ მისი პარტნიორიც იყოს ამა თუ იმ პროექტში.

— გერმანიის განვითარების ბანკია KFW, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც აფინანსებს გარკვეულ პროექტებს, ამ ტიპის ბანკის შექმნას აპირებს მთავრობა?

— დიახ და ეს ბანკი ჩვენი პარტნიორიც იყო, რომელიც საკმაოდ ბევრ სეგმენტში დაგვეხმარა. რაც შეეხება მსგავსებას, ჯერ კიდევ სრულად არ არის დამუშავებული კონცეფცია, თუ რა იქნება განვითარების სახელმწიფო ბანკის მიზნები და ფუნქციები. როდესაც კონცეფციაზე მუშაობა დასრულდება და კანონპროექტიც შეიქმნება, მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ დეტალურად საუბარს.

— KFW-ს მსგავსად, განვითარების სახელმწიფო ბანკიც გახსნის სხვადასხვა საკრედიტო ხაზებს საქართველოს კომერციულ ბანკებში?

— არა და სწორედ ამაშია საქმე, რომ განვითარების სახელმწიფო ბანკს საერთაშორისო სესხების გაცემის უფლება არ აქვს! კომერციულ ბანკებს განვითარების სახელმწიფო ბანკისგან საკრედიტო რესურსების მიღების უფლება არ ექნებათ, რადგან ბუნებრივია, ვერც ეს უკანასკნელი გასცემს საკრედიტო რესურსს. ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ განვითარების სახელმწიფო ბანკში აკუმულირებულ სახელმწიფო თანხებს კომერციულ ბანკებს დაურიგებენ, რასაც კომერციული ბანკები თავის პროცენტებს დაადებენ და უფრო ძვირად გაყიდიან. არა, ასეთი რამ გამორიცხულია, ეს დაუშვებელია!

ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად ელგუჯა ხოკრიშვილი წარადგინა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე ელგუჯა ხოკრიშვილის კანდიდატურა წარადგინა. როგორც ღარიბაშვილმა მთავრობის კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ხოკრიშვილს მიღებული აქვს მაღალი დონის განათლება საზღვარგარეთ, აქვს სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება: **„ამ დრომდე გუჯა მუშაობდა მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელად და ასევე კავკასიის ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარედ. ბატონ გუჯას ძალიან საპასუხისმგებლო დარგს ვაბარებთ. მას აქვს შესანიშნავი კვალიფიკაცია, მრავალმხრივი განათლება, გამოცდილება და უნარი, წარმატებით უხელმძღვანელოს სამინისტროს და გააგრძელოს ის გზა, რომელიც დაიწყო დათო ნარმანიამ. იმედი მაქვს, გუჯა გახდება ჩვენი გუნდის ღირსეული წევრი და იქნება ძალიან წარმატებული მინისტრი“.**

„ინტერპრესნიუსი“

აშშ უკრაინაში შექმნილ დესტაბილიზაციაში რუსეთის მამხილებელ მტკიცებულებებს აქვეყნებს

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი იმ მტკიცებულებებს აქვეყნებს, რომელიც უკრაინაში შექმნილ დესტაბილიზაციაში რუსეთის მხარდაჭერაზე მიუთითებს. ამის შესახებ ინფორმაციას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

„იმის შესახებ, რომ 12 აპრილს განხორციელებული ოპერაციები წინასწარ იყო დაგეგმილი, ის ფაქტი მეტყველებს, რომ შენობების დაკავება ერთდროულად ხორციელდებოდა უკრაინის აღმოსავლეთის რამდენიმე ქალაქში: დონეცკში, სლავიანსკში, კრასნოარმეისკში, დრუჟკოვკეში, კრამატორსკსა და კრასნი ლიმანსკში. ამასთან, არსებობს ცნობები იმის თაობაზე, რომ აღმოსავლეთ უკრაინის სხვა ქალაქებში შენობების დაკავების მცდელობა კრახით დასრულდა“, — ნათქვამია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ამასთან, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ხაზს უსვამს, რომ უკრაინის აღმოსავლეთის რამდენიმე ქალაქში თავდასხმებს მსგავსი ტაქტიკა და თვისებები აქვს, მათ შორის სახელმწიფო მართვისა და სამართალდამცავი ორგანოების შენობების დაკავებას.

„უკრაინის მთავრობის ინფორმაციით, უკრაინის აღმოსავლეთით პრორუსული შეიარაღებული ჯგუფების ქმედებები რუსეთის სპეცსამსახურების მიერ არის მართული. გარდა ამისა, უკრაინის მთავრობამ დააკავა პირი, რომელმაც განაცხადა, რომ ის რუსეთის სპეცსამსახურებმა დაიქირავეს და უკრაინის სამხრეთით დივერსიული ოპერაციების, მათ შორის ადმინისტრაციული შენობების დაკავების განხორციელება დაავალეს. ყველა ეს მტკიცებულება უარყოფს რუსეთის მთავრობის განცხადებებს, რომ უკრაინა „სამოქალაქო ომის“ ზღვარზეა“, — ნათქვამია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ამასთან, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ 12 აპრილს უკრაინის აღმოსავლეთით განვითარებული მოვლენები დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთი იმავე ტაქტიკას იყენებს, რასაც ყირიმში იყენებდა — სეპარატიზმის გაღვივების, უკრაინის სუვერენიტეტისთვის ძირის გამოთხრისა და მეზობელ ქვეყანაში კონტროლის დამყარების მიზნით.

„ინტერპრესნიუსი“

ნოვაციები და მნიშვნელოვანი პროექტები „თოდუას კლინიკაში“



კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში სხივური თერაპიის უნიკალური აპარატები დამონტაჟდა

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

თბილისის ერთი ყველაზე ხმაურიანი, გადატვირთული და ქაოსური ქუჩიდან თითქოს სულიად სხვა სამყაროში ხვდებით... გამორჩეული ინტერიერი, მშვიდი ცოცხალი მუსიკა, კედლებზე თანამედროვე ცნობილი ქართველი მხატვრების ტილოები — ეს საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სამედიცინო დაწესებულება გახლავთ — კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, უფრო ცნობილი, როგორც თოდუას კლინიკა... და მაინც, მთავარია აქ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი. არავისთვისაა საიდუმლო, რომ აქ ფუნქციონირებს აპარატურა, რომელიც ბევრი თანამედროვე ევროპული კლინიკისთვისაც კი საოცნებოა, არაერთი უცხოელი ექსპერტი სპეციალისტი აღფრთოვანებულა ასეთ მცირე სივრცეში მსგავსი უნიკალური დანადგარების კონცენტრაციით და მიუხედავად თვალსაჩინო მიღწევებისა, აქ ერთი წუთითაც არ წყდება განახლებისა და წინსვლის პროცესი. „ვერსიის“ სტუმარი, ინსტიტუტის დამაარსებელი და სულისჩამდგმელი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა გახლავთ, რომელიც არამარტო სამედიცინო წრეებშია ავტორიტეტი. იგი ყოველთვის მოიაზრება, როგორც პიროვნება, რომელსაც საზოგადოების ცხოვრებაზე აქტიური გავლენა აქვს.

— ბატონო ფრიდონ, სადაც თქვენ ხართ, აუცილებლად ინოვაციური და საზოგადოებისთვის საინტერესო მოვლენები ხდება. ამჟამად რა სიახლეებია კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში?

— მართლაც, ჩვენი ინსტიტუტი დაარსების დღიდან სიახლეებისა და ინოვაციების კერაა. მოსკოვში თითქმის 25-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, დამოუკიდებლობამოპოვებულ სამშობლოში დაბრუნებაც, ინოვაციასთან იყო დაკავშირებული — საქართველოში დაინერგა ახალი მიმართულება, კომპიუტერული ტომოგრაფია, რაც ზოგადად მედიცინაში იყო რევოლუცია, მით უმეტეს, საქართველოსთვის. 1991 წლის 26 მაისს, ყველაფერი 600 კვადრატულ მეტრ საწყის ფართში დავიწყეთ. გარდაქმნის პერიოდი ურთულესი აღმოჩნდა... კრიმინალი, უშუქობა, ნგრევა ყველაფრის – ეკონომიკის, მეურნეობის, ურთიერთობების... ბევრი ქართველი სპეციალისტი, პროფესიონალი, რომელიც სამშობლოში იმედით დაბრუნდა, იძულებული გახდა ისევ რუსეთში წასულიყო.

ჩემი მეორე პროფესია გახდა, მშენებლობა. მეურნეც გავხდი, მომმარაგებელიც... მერწმუნეთ, იოლი არ იყო, მაგრამ უდიდესი სიამოვნება იყო, მიღწეული წარმატების, განხორციელებული გეგმების, საკუთარი შრომის ნაყოფის ხილვა.

ამის შემდეგ, ინოვაციებისა და სიახლეების დანერგვა ჩვენი ცხოვრების ჩვეულ რიტმად იქცა — ყოველი ახალი განხორციელებული პროექტი, ენთუზიაზმით ავსებს ადამიანს. პირადად მე ასე მგონია და ალბათ ესაა ჩემი ენერგიის წყაროც. ძალიან ბევრი დადებითი ემოცია მოდის, როცა დასახულ მიზანს აღწევ. მხოლოდ ისაა აუცილებელი, ეს მიზნები საღად და რეალურად გათვალო, რომ იმედგაცრუებამ ფრთები არ შეგიკვეცოს. მთავარია, დროს ფეხი აუწყო, თორემ თანამედროვე ცხოვრება ისეთი ტემპით ვითარდება, ერთი წუთით მოდუნების საშუალებას არ იძლევა. საჭიროა მუდმივად სწავლა, კითხვა, საკუთარ თავზე მუშაობა, განვითარება... სხვაგვარად არაფერი გამოვა.

— თქვენი კლინიკა უპრეცედენტოა თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მაინც რა განსაკუთრებული აპარატურაა „თოდუას კლინიკაში“?

— თამამად და ყოველგვარი გათამაშებული თავმდაბლობის გარეშე ვამბობ, რომ აპარატურა, რომელიც ჩვენს ინსტიტუტშია, საუკეთესოა არამარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი წამყვანი კლინიკისთვისაც.

სიახლეებზე ყოველთვის ორიენტირებულნი ვართ: პირველი კომპიუტერული ტომოგრაფი, პირველი მაგნიტურ-რეზონანასული ტომოგრაფი, ყველა სახის უახლესი თაობის აპარატურა, მუდმივი განვითარება, ნებისმიერი სიახლის კურსში ყოფნა და განახლება — ეს ჩვენი ცხოვრების წესია, რომლის წყალობითაც, პატარა დიაგნოსტიკური ცენტრი, უნიკალურ სამედიცინო დაწესებულებად იქცა. დღეს მსოფლიოშიც კი, ძნელად მოიძებნება კლინიკა, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა სიმძლავრის 4 მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი, 4 კომპიუტერული ტომოგრაფი, რადიონუკლიდური დიაგნოსტიკის განყოფილება, უახლესი თაობის ულტრაბგერითი აპარატები... ტექნიკის ბოლო სიტყვით აღჭურვილი 4 საოპერაციო ბლოკი, სადაც პრაქტიკულად ყველა სირთულის უნიკალური ქირურგიული ოპერაციის ჩატარების საშუალებაა. ვასრულებთ მეხუთე საოპერაციოს აღჭურვას. საამაყოა საუკეთესო ლაბორატორიული სამსახურიც. ფუნქციონირებს ქიმიოთერაპიის განყოფილება. შარშან, ჩვენს კლინიკაში, 43 ათასი მხოლოდ პირველადი პაციენტი დარეგისტრირდა, გაკეთდა 2500-ზე მეტი გეგმური ოპერაცია, წელს კი, უკვე 900-მდე ურთულესი ოპერაცია ჩატარდა. ყოველდღიურად სულ მცირე 10-12 ნეიროქირურგიული, გინეკოლოგიური,

ფრიდონ თოდუა: „ჯანმრთელობა ყველაზე დიდი სიმდიდრეა და მინდა, საქართველოში ყველას ჰქონდეს ამ სიკეთის მიღების საშუალება“

თორაკოაბდომინალური თუ ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული ოპერაცია კეთდება. სიახლეებისა და ნოვაციების გარეშე ცხოვრებას ინტერესი არ აქვს. მხოლოდ საზოგადოებისა და პაციენტების მოთხოვნა განსაზღვრავს ჩვენს მიერ რაიმეს შეძენა-არშეძენის საკითხს. წარმოიდგინეთ, საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება 8 000 ახალი ონკოლოგიური პაციენტი, რომელთაგან 300-მდე ბავშვია. ასეთი პაციენტების გამოვლენის სიხშირე თანამედროვე და ზუსტი კვლევის გამოყენების წყალობით იზრდება. სანუგეშოა მხოლოდ ის, რომ განკურნების ერთადერთი გზა დაავადების დროული გამოვლენა და მკურნალობაა. სხვადასხვა მონაცემებით, ასეთი პაციენტების 70-80%-ს, სხივური თერაპია სჭირდება. მათი უმრავლესობა ან საზღვარგარეთ მიდის, ან საერთოდ, მკურნალობის გარეშე რჩება. ამ ფონზე, გვერდს ვერ ავუვლით ჩვენ ახლადხორცშესხმულ პროექტს, რომლის განხორციელებაში არაერთი მილიონი ჩაიდო, მაგრამ მაინც, ეროვნული საქმე უფრაა, ვიდრე კომერციული პროექტი — შევიძინეთ ცნობილი ამერიკული ფირმა „ვარიანის“ მიერ წარმოებული „თრუბიმის“ მოდელის მაღალი ენერგიის სხივური ამაჩქარებელების — თანამედროვე ონკოლოგიაში სხივური თერაპისთვის განკუთვნილი ბოლო თაობის, ერთ-ერთი საუკეთესო აპარატები. ერთი უკვე დაინსტალირებულია, მალე მეორეც შევა ექსპლუატაციაში. სპეციალურად ამ პროექტისთვის აშენდა ახალი კორპუსი, რომელიც თავისთავად, უნიკალური საინჟინრო ქმნილებაა — აშენებულია ყველა საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. აქ, მიწისქვეშ, 9 მეტრ სიღრმეზე განლაგებული ორი სართული, სხივური თერაპიის განყოფილებებს ეკუთვნის, სადაც კედლებისა და გადახურვის სისქე 3 მეტრია.

საქართველოში სხივური თერაპია აქამდეც ტარდებოდა და ახლაც ტარდება, მაგრამ წინა თაობის აპარატურა სასურველ შედეგს ვერ იძლევა — დასხივება სიმსივნით დაავადებული ორგანოს ჯანსაღ ნაწილებსაც აზიანებს. ,,თრუბიმის“ საშუალებით კი, ხდება მხოლოდ სიმსივნურად გადაგვარებული ქსოვილების დასხივება. თანაც ისე, რომ ფაქტობრივად, არ ზიანდება ჯანსაღი ქსოვილები.

„თრუბიმის“ შემოტანა საქართველოში სხივური თერაპიის ახალი მიმართულების დასაწყისია. მეტიც, ეს ფაქტობრივად მსოფლიო სამედიცინო ცივილიზაციის, ახალი სამედიცინო კულტურის შემოსვლაა ქართული მედიცინის პრაქტიკასა და კლინიკური გამოცდილების სივრცეში. სამწუხაროდ, 2-3 აპარატი არ არის საკმარისი საქართველოს მოთხოვნილების სრულად დასაკმაყოფილებლად. საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემებით, 250 000 მოსახლეზე, საშუალოდ, 1 სხივური თერაპიის აპარატია საჭირო. მჯერა, სხვა კლინიკებიც მოგვბაძავენ და საქართველო შეძლებს, ნელ-ნელა გავიდეს სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სტანდარტებზე.

— ამ და სხვა პროექტების განხორციელება წარმოუდგენელ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ფინანსურ საკითხს როგორ აგვარებთ?

— ნებისმიერი პროექტის და გეგმის განხორციელება, გულისხმობს წინასწარ ეკონომიკურ გათვლებს. სხვაგვარად, მათი განხორციელება წარმოუდგენელია. თავიდან, თითქმის ყველა პროექტი, საკუთარი ძალებით, რეინვესტიციების გზით ხორციელდებოდა. ახლა კი, ჩვენ, როგორც წარმატებულ ორგანიზაციას, კარგ გადამხდელს, თუ გნებავთ კანონმორჩილ იურიდიულ სუბიექტს, კარგი ურთიერთობა გვაქვს ბანკებთან. ვთანამშრომლობთ მათთან, გვაქვს კრედიტები, რომელსაც ვფარავთ, ზოგჯერ წინსწრებითაც.

ბანკებიც სიამოვნებით მოდიან ჩვენთან თანამშრომლობაზე. შეუძლებელია არ აღვნიშნო, რომ უპრეცედენტოდ დაბალპროცენტიან კრედიტებს გამოყოფენ სწორედ ახალი პროექტებისთვის და რეალურად, საშვილიშვილო საქმეს უწყობენ ხელს.

დასასრული მე-7 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

— ჩვენი ინფორმაციით, ექიმები, რომელთაც უახლეს ტექნიკასთან მოუწევთ მუშაობა საზღვარგარეთ იმაღლებენ ცოდნის დონეს. რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება, რამდენი ექიმი რა დროითაა გაგზავნილი საზღვარგარეთ და რა თანხებთანაა დაკავშირებული მათი მომზადება?

— ჯერ კიდევ 20-30 წლის წინ ურყევ ჭეშმარიტებად მივიღე ერთი ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მედიცინა სრულიად წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გარეშე, უმთავრესი მაინც კვალიფიციური კადრების მომზადებაა. სწორედ ესაა ჩვენი წარმატების საფუძველი. ინვესტიცია, რომელსაც ჩავდებთ სპეციალისტების მომზადებაში, ყველაზე დიდ უკუგებას მოიტანს. მეამაყება, ჩვენს ინსტიტუტში მუშაობენ საუკეთესო ექიმები, რომლებიც თავისი დარგის წამყვანი სპეციალისტები არიან არამარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. ისიც მეამაყება, რომ ჩვენი ინსტიტუტი, არსებობის მანძილზე, თანამედროვე, ახალი ტიპის სამეცნიერო კვლევით სამედიცინო დაწესებულებად ჩამოყალიბდა. ბევრს წერენ, რომ საქართველოდან ინტელექტი საზღვარგარეთ გაედინება. სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენ ქვეყანაში, სამეცნიერო კადრებს მართლაც არ აქვთ სათანადო ხელშეწყობა. საქართველო მდიდარია ინტელექტუალური პოტენციალით, მაგრამ მას გამოვლენა და დაფასება უნდა. სავალალო მდგომარეობაშია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. გულდასაწყვეტია, რომ ქართული ინტელექტუალური ელიტა, ასე ვთქვათ, ლუკმა-პურის საძებნად საზღვარგარეთ მიდის. თუმცა არიან ისეთებიც, ვინც ბრუნდება და თავის ადგილს იმკვიდრებს სამშობლოში. ზოგადად, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ როგორი წარმატებული და დაფასებულიც უნდა იყო კაცი, სრულყოფილი პიროვნება მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში იქნები.

ყველა პროექტი ჩვენს ინსტიტუტში სპეციალისტების მომზადებით იწყება. ასე იყო ამჯერადაც — აპარატურის ყიდვამდე 8 თვით ადრე, ჩვენი თანამშრომლები სტაჟირებაზე მივავლინეთ ევროპის წამყვან კლინიკებში. ახლაც გვყავს გაგზავნილი ექიმები გერმანიასა და ავსტრიაში. საზღვარგარეთ ყოფნისას ვიყავი ამ კლინიკებში და ჩვენი სპეციალისტები საუკეთესოდ შეაფასეს.

— ჩვენი ინფორმაციით, ინსტიტუტში ექიმთა სასწავლო ცენტრიც ფუნქციონირებს... წინა ინტერვიუში ბრძანეთ, რომ საქართველოში ზოგადად კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა. ამ მხრივ შეიცვალა რამე?

— მოკლე დროში ისეთი მნიშვნელოვანი და რთული პრობლემის გადაჭრა, როგორც კადრებია, შეუძლებელია. ამას დრო, სახსრები, მონდომება და კიდევ უფრო დიდი მოთმინება უნდა. არ შემიძლია არ ვიამაყო, რომ უდიდესი შრომა მაქვს ჩადებული საქართველოს მედიცინისთვის ახალი თაობის აღზრდაში. ნებისმიერი ადამიანისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი მოსწავლეებია. ფაქტი, რომ ბევრი მათგანი დარგის საუკეთესო სპეციალისტად ითვლება, ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდოა.

ჩვენი ინსტიტუტი საუნივერსიტეტო კლინიკაა. მის ბაზაზე ფუნქციონირებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის კათედრა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რადიოლოგიის კათედრა; რეზიდენტურის პროგრამა რადიოლოგიაში და დოქტურანტურა, კომპიუტერული, მაგნიტურ რეზონანსული და ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის სასწავლო ცენტრები. ასე რომ, ძალისხმევას არ ვაკლებთ, შეძლებისდაგვარად შევიტანოთ წვლილი ექიმთა მომზადებისა და პროფესიული სრულყოფის საქმეში

— რა სიახლეების დანერგვას აპირებთ მომავალში კლინიკური მედიცინის სამედიცინო კვლევით ინსტიტუტში?

— სიახლეებისა და ინოვაციების გარეშე ცხოვრებას ინტერესი არ აქვს. ასე მოვედით დღემდე. წინ კიდევ ახალი პროექტებია, არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტში 4 მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, დღის წესრიგში დგას კიდევ ერთი, 3 ტესლა სიმძლავრის აპარატის შეძენა, რადგან ამ გამოკვლევებზე ყოველთვის რიგია და ჩაწერის გარეშე პაციენტი გამოკვლევაზე ვერ ხვდება. ეს უპირველესად იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანები ენდობიან ჩვენი ინსტიტუტის ექიმებს. სწორედ ნდობას აქვს უდიდესი როლი. პაციენტი ინფორმირებულია და თავად წყვეტს, რომელ ექიმთან მივიდეს და ირჩევს საუკეთესოს მრავალთა შორის. შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ პაციენტებს ნაკლებად აღელვებთ აპარატურის სპეციფიკაცია,

მათთვის გადამწყვეტი ექიმია — პროფესიონალი, რომელმაც გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე სწორი დიაგნოზი უნდა დასვას და თუ ჩვენთან მეტი პაციენტია, ეს ნიშნავს რომ მეტია ნდობა.

მუდმივად ვაახლებთ პროგრამებს. ახლაც ვგეგმავთ, შევიძინოთ პროგრამა მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფისთვის, რომელიც მთელი ორგანიზმის გამოკვლევის საშუალებას ერთდროულად მოგვცემს. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ონკოლოგიური პაციენტებისთვის დაავადების სტადიისა და გავრცელების პროცესის დადგენის თვალსაზრისით. ასევე, ხელი მოვაწერეთ კომპანია AGFA-სთან და უკვე დასრულდა მუშაობა ეგრეთწოდებული PACS სისტემის ინსტალაციაზე. ეს გახლავთ მონაცემთა ელექტრონული არქივირების და მენეჯმენტის სისტემა კლინიკებისა და საავადმყოფოებისთვის. მისი საშუალებით, ჩვენთან გამოკვლეული ყველა პაციენტის მონაცემები შეინახება ქსელში და მისი ნახვა-მოძიება, კლინიკის ყველა ექიმს, ნებისმიერ დროს შეეძლება. ანალოგიური სისტემები ყველა მოწინავე ევროპული კლინიკის განუყრელი ნაწილია, მაგრამ პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში ჩვენთან პირველად ინსტალირდება.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო თანამედროვე დოზიმეტრული სამსახურის ამოქმედება, რაც უმნიშვნელოვანესია — დღეს, მთელი მსოფლიო გადადის უსაფრთხო, ეკოლოგიურად გამართლებულ ტექნოლოგიებზე. ვფიქრობ, ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია, ამიტომ არასოდეს ვყიდულობთ მეორად და მოძველებულ ტექნიკას, რასაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ აქვს ადგილი საქართველოს კლინიკებში. თბილისში უკვე კომპიუტერული ტომოგრაფიის 30-მდე განყოფილებაა, მაგრამ მხოლოდ ერთეულებია ისეთი, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ამიტომაცაა ჩვენი სიამაყე 384 და 640-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფები, რომელთა საშუალებით, მინიმალური დასხივებით ხდება ურთულესი გამოკვლევების, მათ შორის კტ ანგიოგრაფიების ჩატარება, თანაც პრაქტიკულად უმოკლეს დროსა და ყოველგვარი ინვაზიის გარეშე. კომპიუტერული ტომოგრაფები, რენტგენოლოგიური დანადგარებია და გარკვეული დოზით ახდენს როგორც პაციენტის, ასევე ექიმის დასხივებასაც. ყოველი ახალი თაობის აპარატის ფასი სწორედ იმით განისაზღვრება, რამდენად შემცირებულია გამოსხივების ინტენსივობა. სწორედ ამიტომ ვაწარმოებთ დოზიმეტრულ კონტროლს, რისთვისაც უახლესი სისტემები გვაქვს, ინდივიდუალური და ფონური გაზომვისა და მონიტორინგისთვის.

ძალიან მაწუხებს ფაქტი, რომ ბევრი ჩვენი თანამემამულე, სხვადასხვა სახის სამკურნალო თუ სადიაგნოსტიკო მანიპულაციის ჩასატარებლად საზღვარგარეთ მიემგზავრება. საიდუმლო არაა, რომ პაციენტთა უმრავლესობას, ამის მატერიალური სახსრები არ გააჩნია და მკურნალობის გარეშე რჩება. ჩემი ოცნებაა, საქართველოში იყოს ყველა პირობა, რომ ნებისმიერმა მოქალაქემ მიიღოს სრულფასოვანი დახმარება. ვფიქრობ, ჩვენი ახალი პროექტი მედიცინის კიდევ ერთ, საქართველოში არარსებულ მიმდინარეობასთან, პოზიტრონულ ემისიურ ტომოგრაფიასთან იქნება დაკავშირებული, თუმცა ამ სახის აპარატურის შეძენამდე აუცილებელია მატერიალური ბაზის და საოცრად რთული ინფრასტრუქტურის მომზადება — საჭიროა სპეციალური საწარმოს აშენება გამოკვლევებისთვის აუცილებელი იზოტოპების ადგილზე წარმოებისთვის, რადგან მათი შემოტანა საზღვარგარეთიდან შეუძლებელია ძალზე არამდგრადი ბუნების გამო. ასე რომ, ჯერჯერობით მიმდინარეობს პროექტის მომზადება, ეკონომიკური გათვლა. რაც შეეხება მოთხოვნილებას, ის ნამდვილად არის. მწამს, თუ ადამიანი მოინდომებს და გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს, შეუძლებელი არაფერი იქნება. მთავარია მონდომება, საქმისთვის თავდადება და კეთილსინდისიერი შრომა.

— როგორ აფასებთ ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო დაზღვევის პროგრამას, რომელიც ახალმა მთავრობამ დაიწყო?

— არსად მსოფლიოში, იდეალური ჯანდაცვა არ არის. ამ მხრივ, დიდი პრობლემებია ამერიკაშიც და ევროპის წამყვან ქვეყნებშიც. საქართველომ კი საყოველთაო დაზღვევის დანერგვა დაიწყო. ზოგადად, თავიდან ბევრი სკეპტიკურად იყო განწყობილი. მეც მიმაჩნდა, რომ პროცესი იოლი არ იქნებოდა. ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოში, რთულია, ბიუჯეტმა ასპროცენტიანად დააფინანსოს ჯანდაცვა. სამუშაო ბევრია და იდეალური შედეგები საყოველთაო დაზღვევის ამოქმედებას ცხადია, ასე ერთბაშად არ მოჰყვება. მიუხედავად ამისა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ სახელმწიფო დაზღვევა კარგად არის ორგანიზებული და ეფექტურად მუშაობს. ამ დაზღვევის წყალობით, მრავალმა ადამიანმა შეძლო ისეთი სამედიცინო მომსახურების მიღება, რაზეც ადრე ვერც კი იოცნებებდა. მოქალაქეების საყოველთაო დაზღვევას პოზიტიურად ვაფასებ. ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს, თუნდაც სოციალურად დაუცველი და დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეებისთვის, რადგან ჯანმრთელობა ყველაზე დიდი სიმდიდრეა. ეს არ გახლავთ რიტორიკა – ჯანდაცვას დიდძალი ხარჯი სჭირდება და, თუ ქვეყანას უნდა, ცივილიზებული იყოს, მის ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიიღოს ეს სიკეთე. მინდა, მივულოცო ჯანდაცვის მესვეურებს, უფრო მეტად კი ჩვენს მოქალაქეებს ასეთი რთული პროექტის წარმატებით განხორციელება.

ყველას გვინდა მშვიდ, ცივილურ სახელმწიფოში ცხოვრება. ნუ დაგვავიწყდება, რომ სახელმწიფოს განვითარების უპირველესი კრიტერიუმი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და მის განათლებაზე ზრუნვაა. ცხადია, ნებისმიერ მოქალაქეს სურს ისეთი ცვლილებები, რომლებიც მისცემს საშუალებას იცხოვროს, იმუშაოს, ჰქონდეს საკუთარი ღირსების ხელშეუხებლობის გარანტია და ეამაყებოდეს საქართველოს მოქალაქეობა.

განვითარებული ქვეყნების მედიცინის ორგანიზაციის პრინციპები, უმაღლესი სასწავლებლების პოტენციალი, მათი ეკონომიკური პირობები და ტრადიციები საქართველოს რეალობისთვის, ვფიქრობ, არც ისე შორსაა, მაგრამ თუ გვინდა ევროპის განვითარებული ქვეყნების გვერდით დგომა, პირველ რიგში, ჩვენი ჯანდაცვის, განათლებისა და მეცნიერების განვითარების დონე უნდა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს. ამისათვის კი, ერთად დგომა, ერთმანეთის პატივისცემა და თავდაუზოგავი შრომაა საჭირო. ყველაფერი ჩვენს ხელთაა...

„ალბათ, მალე მძღოლებს რეპერტუარსაც დაუმტკიცებენ“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

შპს „მომხმარებელთა საყურადღებოდ“ მიკროავტობუსში რადიოს დამონტაჟების მსურველ მძღოლებთან სპეციალურ ხელშეკრულებას გააფორმებს, რომლის თანახმად, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობის დაზიანების დაზღვევის ხარჯებს კომპანია თავის თავზე აიღებს. თავის მხრივ, მძღოლი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ვალდებულია, მიკროავტობუსში მხოლოდ სპეციალური რადიოს მაუწყებლობა უზრუნველყოს. მიკროავტობუსებში ახალი სიხშირის რადიოს ამოქმედების შესახებ „თბილისის მიკროავტობუსის“ გენერალურმა დირექტორმა დავით ასანიძემ, შპს „მომხმარებელთა საყურადღებოდ“ ხელმძღვანელმა, გოგა ხაინდრავამ და რადიო „უცნობის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გიორგი ასანიშვილმა კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ ოფისში ისაუბრეს.

ახალ რადიოს სპეციფიკური დანიშნულება ექნება და საეთერო დრო თემატურად დაიყოფა. კერძოდ, 8:00-დან 10:00 საათამდე სკოლის მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის გავა შემეცნებითი გადაცემები, სპეციალური რუბრიკები და ჩართვები. 10:00-დან 12:00 საათამდე დაკმაყოფილდება სტუდენტების ინტერესი. 18:00-დან 20:00 საათამდე მოქალაქეები სამსახურებიდან ბრუნდებიან და განწყობაც შესაბამისი იქნება, 21:00 საათის შემდეგ კი თავისუფალი რეჟიმი იქნება. კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განმარტავენ, რომ რადიო „უცნობს“ „კერძო საერთო მაუწყებლობის ლიცენზია“ აქვს, რაც რადიოსადგურს ავალდებულებს, ეთერში ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა გავიდეს: **„თუ ეს ყველაფერი შესრულდება, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ორ კერძო სუბიექტის შორის სამართლებრივ ურთიერთობაში, არ ჩაერევა“,** — ამბობს კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, **ხატია ყურაშვილი**.

პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი შალვა ოგბაიძე სამარშრუტო ტაქსებში ერთი რადიოს მოსმენის საკითხს ეხმაურება და აცხადებს, რომ ეს ძალიან დიდი სირცხვილია. მისივე თქმით, მას ხაინდრავას აზრი ნაკლებად აინტერესებს და ამ საკითხთან მიმართებაში უკვე თავისი პოზიცია დააფიქსირა: **„ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, რას ამბობს გოგა ხაინდრავა. ჩემი პოზიცია უკვე დავაფიქსირე. იქნებ, უახლოეს პერიოდში, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს რეპერტუარიც დაუმტკიცონ, ეს სირცხვილია“.**

თავის მხრივ, „სახალხო პარტიის“ ლიდერი, **გოგი ლორთქიფანიძე** ამბობს, რომ „ოცნების“ ფავორიტ გოგა ხაინდრავას ექსკლუზივი უფეშქაშეს“: **„რა სხვაობა 2012 წლის ივნისში, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ მიერ, ქალაქის მერის უშუალო მითითებით, სამარშრუტო ტაქსებში რადიოსაშუალებებზე ხმოვანი სიგნალების გათიშვასა და 2014 წლის აპრილში, იგივე კომპანიის მიერ გოგა ხაინდრავას ახალი რადიოსთვის ექსკლუზივის მიცემას შორის, მე თუ მკითხავთ, არანაირი. მაშინაც და ახლაც, სამარშრუტო ტაქსებში უმეტესად თავისუფალ რადიოარხებს უსმენდნენ და, თუ კარგად დაუფიქრდები, ისევ ნაცების უაზრო ქმედება სჯობდა, „ოცნების“ ფავორიტისთვის ექსკლუზივის დაფეშქაშებას. მაშინ, ბოლო-ბოლო, არაფერს მოუსმენდი და ეგ იყო სულ, ახლა კი არჩევანი მხოლოდ ერთი გვექნება — პატივცემული ხაინდრავას პოლიტიკური და მუსიკალური გემოვნება.**

მესმის, აღნიშნული ქმედების იურიდიულად გამართლებისთვის მზა პასუხიც ექნებათ მხარეებს, რომ ეს ორ კერძო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ხდება და თითქოს ვერ შეედავები... თუმცა წესითა და რიგით, ეს და მსგავსი ვითარება უნდა რეგულირდებოდეს მერიასა და „თბილისის მიკროავტობუსს“ შორის არსებული ხელშეკრულებით და ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი სერვისის კომერციული გზით ვინმესთვის გადაცემა, მინიმუმ ტენდერის გამოცხადებით მაინც უნდა რეგულირდებოდეს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, იქ მსგავსი არაფერი წერია. ასე რომ, გიხაროდეს ერო და ბერო, აწი შენს პოლიტმუსიკალურ გემოვნებაზე განსაკუთრებით ფაქიზად იზრუნებენ“.

ექსპერტ **ჰამლეტ ჭიპაშვილის** შეფასებით, ეს გადაწყვეტილება გოგა ხაინდრავას ფულს მოუტანს, ხოლო დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს. მისივე თქმით, ხაინდრავა ძებნის ასეთ გზებს და, სხვათა შორის, წარმატებას აღწევს: **„დასაწყისიდანვე, ამ ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა აქვს და ამას სათავისო საქმიანობაში კარგად იყენებს. მე თუ მკითხავთ, ეს ძალიან მძიმე გადაწყვეტილებაა, რაც სფეროს ერთი რადიოსა და პიროვნების მხრიდან მონოპოლიზებას ნიშნავს. ამას დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს, რომელ დემოკრატიაზეა საუბარი, როცა წინა ხელისუფლების ქმედებებთან პირდაპირი ანალოგიაა.**

მიწევს სამარშრუტო ტაქსებით მოძრაობა და ალბათ გახსოვთ, საპარლამენტო არჩევნებამდე „მარშუტკებში“ ტელეეკრანები დაამონტაჟეს და მხოლოდ ნაციონალების სარეკლამო რგოლებს იძულებით გვაჩვენებდნენ, თავისუფალ რადიოებს საერთოდ არ გვასმენინებდნენ. მოგეხსენებათ, კეზერაშვილის ხელში იყო ეს სარეკლამო ბიზნესი და მთელი პროპაგანდა მთავრობის სასარგებლოდ მიდიოდა. მოკლედ, ხელიდან შანსს არ უშვებდნენ და ყველა საშუალებას იყენებდნენ, „მარშუტკაში“ მაქსიმუმ 15-20 წუთი ზიხარ და ამ დროსაც კი არ კარგავდნენ. იმას, რასაც ახლა ხაინდრავა და მისი მსგავსნი აკეთებენ, სხვა არაფერი ჰქვია თუ არა ნაციონალური ბანდიტიზმის გამეორება, რაც ეს კარგზე არაფერზე მიანიშნებს. ამ სტილით, ხაინდრავა ნაციონალებისგან შორს არ წასულა.

ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც დეპუტატები და პოლიტიკოსები დემოკრატიულ განვითარებაზე გველაპარაკებიან, სად ნახეს აქ დემოკრატია? ჯერ ერთი, „მარშუტკებში“ მაინც თავი დაგვანებონ თავისი, ე.წ. პოლიტიკით. არ შეიძლება ამისთვის ყველა დონე გამოიყენონ, მალე ალბათ უნიტაზებიც პოლიტიკური რეკლამების გახმოვანებას დაიწყებენ. ჩვენში ფაბრიკა-ქარხანა, რაიმე წარმოება არ იხსნება და ეკრანზე ისეთი პოლიტიკური რეკლამები გადის, თითქოს მართლა ქვეყანას აშენებდნენ. ამ ფონზე, პოლიტიკოსები მარტივი გზებით დიდი ფულის შოვნას ცდილობენ, ცოტა ტვინი უნდა გაანძრიონ და ისეთი საქმე აკეთონ, რაც თვითონაც სიკეთეს მოუტანს და რაც მთავარია, ჯიბეგაღლეტილ ხალხს წაადგება“.

კომპანია „ინტერტრანსი“ რუსთაველი მძღოლებისგან დღეში 200 ლარს ითხოვს

რუსთავში კომპანია „ინტერტრანსის“ ოფისში რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს, ხაზების მეპატრონეებსა და კომპანიის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება კვლავ უშედეგოდ დასრულდა. როგორც მძღოლები აცხადებენ, მათთვის მიუღებელია ის სამუშაო პირობები და შრომითი ანაზღაურება, რომელსაც კომპანიას სთავაზობთ და თანამშრომლობას არ აპირებენ.

მძღოლები რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზზე ჩატარებული კონკურსის შედეგების გაუქმებასა და რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მგზავრთა გადაყვანაზე ნებართვის გაგრძელებას მოითხოვენ. „ინტერტრანსმა“ რუსთავში „ფორდის“ მარკის 30 ყვითელი მიკროავტობუსი უკვე შეიყვანა და, როგორც აცხადებენ, მძღოლებს კარგ სამუშაო პირობებს სთავაზობს, თუმცა მძღოლების ნაწილი ამაზე უარს ამბობს. მათი ინტერესების დამცველი ადვოკატი **რეზო რიჟამაძე** აცხადებს, რომ „ინტერტრანსის“ ირეალური და აბსურდული წინადადება მიუღებელია, რის გამოც პროტესტი გაგრძელდება: **„წარმოიდგინეთ, დღეში ერთი სამარშრუტო მანქანიდან 200-ლარიან გადასახადს ითხოვენ, ასევე ფირმის მოგების გეგმა უნდა შესრულდეს და ამას დავუმატოთ მძღოლის ხელფასი. დღეში 200 ლარი მძღოლმა საიდან უნდა მოიტანოს, ამაზე არავინ ფიქრობს. უხელფასოდ ვინ იმუშავებს დილიდან შუაღამემდე? მათ პროვოცირებას ცდილობენ და შეცდომაში შეჰყავთ. მეორე მხარეს უმეცარი ხალხი დგას, გაგებაში არ არიან, დღევანდელ ტრანსპორტში რა მდგომარეობაა – რა მოძრაობა და ფინანსური ნაკადია, რა ნაკლოვანებებია, ფულის შოვნა უნდათ და მეტი ვერაფერში ერკვევიან. ახლა ნელ-ნელა რეალური ანგარიშის კეთება დაიწყეს და ხვდებიან, რომ ვიღაც ატყუებს, რაღაც დიდ მოგებაზე ელაპარაკება იქ, სადაც მძღოლები საკუთარ ოჯახებს ძლივს არჩენენ“.**

კითხვაზე, ვინ ატყუებს მეორე მხარეს, რეზო რიჟამაძე ამბობს, რომ ამის მთავარი შემოქმედი კომპანია „ინტერტრანსის“ დანიშნული დირექტორი მამუკა მუმლაძეა, რომელიც **„ადრე მუნიციპალური ტრანსპორტის გაერთიანების დირექტორად მუშაობდა. იქაც მძღოლების გატყავებით იყო დაკავებული, ამის გამო გაფიცვები მოაწყვეს და თანამდებობიდან გამოაგდებინეს. შემდეგ უმუშევარი იყო, ახლა კი ისევ კომპანია „ინტერტრანსის“ დირექტორად დანიშნეს, რომლის უკანაც ვიცე-პრემიერ კახა კალაძის ინტერესებია“.** ადვოკატი ამბობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ნელ-ნელა ერკვევა ამ კაბალური ურთიერთობის არსში და გამოსავალს ეძებს. უმუშევრობის პრობლემა რუსთავში ძალიან მტკივნეულია და ამ ფონზე თვითდასაქმებული მძღოლების ულუკმაპუროდ დატოვება ყოვლად დაუშვებელი იქნება, ამიტომაც ხელისუფლება უნდა ჩაერთოს ამ პროცესში და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას სამუშაო ადგილების გადაყლაპვისა და მძღოლების ქუჩაში დატოვების უფლება არ მისცეს. რაც შეეხება დაწესებულ დღიურ ორას ლარს, არსებული რეალობისთვის ანგარიშის გასაწევად, უნდა დასვა კომპანიის წარმომადგენელი თბილისი-რუსთავის „მარშუტკაზე“ და მთელი დღე კონდუქტორის მოვალეობა იძულებით შეასრულებინო.

მერაბ ბერიძე

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 15 ივნისს გაიმართება

10 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი განკარგულება არჩევნების თარიღის გამოცხადების შესახებ საქართველოს მთავრობამ მოიწონა და როგორც მთავრობის 14 აპრილის სხდომის შემდეგ მთავრობის საპარლამენტო მდივანმა შალვა თადუმაძემ განმარტა, პრეზიდენტის განკარგულება ძალაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე შევა: „პრეზიდენტმა 10 აპრილს ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლითაც არჩევნების სავარაუდო თარიღად დადგინდა 2014 წლის 15 ივნისი. დღეს მთავრობამ ამ აქტით კონტრასიგნაცია მოახდინა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2014 წლის 15 ივნისს დაინიშნა. ამის შემდეგ ის ისევ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაიგზავნება შემდეგ კი გამოქვეყნდება ცესკო-ს ვებგვერდზე და ძალაში შევა სწორედ ცესკო-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე“.

„ვერსიანიუსი“

როგორ ზეიმობდნენ აღდგომას საქართველოში

რუსუდან ხავთასი

აღდგომას საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულად ზეიმობდნენ. საინტერესო ცნობებს გვაწვდის მეფის კარის სააღდგომო სამზადისზე ვახუშტი ბაგრატიონი: „ხოლო აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა, დაუწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა, და რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთაობა. მერმე შემოვიდიან მეფისა თანა და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი მგოსან-სახიობთა. არამედ კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ვიდრემდის იყვნენ მუნ, არა იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ — გალობანი. ხოლო შემდგომად წარსვლისა მათისა იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობთა ცემანი“.

ჩვეულებრივი მოკვდავნი აღდგომას შედარებით მოკრძალებულად აღნიშნავდნენ. სადღესასწაულო სუფრას ამშვენებდა მშრალად მოხარშული ღორის ბარკალი, წითელი კვერცხები, ქადა, ხაჭაპური, შოთის პური, ყველი, მწვანილი, მწნილი, ხილი და წითელი ღვინო.

სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული იყო ჭონა, რომელიც არსითა და ფორმით, ძალიან ჰგავს ალილოს. აღდგომას რამდენიმე კაცი, რომელთაც მეჭონეებს ეძახდნენ, მთელ სოფელს ჩამოუვლიდა და სააღდგომო სიმღერით დღესასწაულს ულოცავდა, დიასახლისი კი კვერცხებით, ტკბილი კვერებით, ხილითა და ფულითაც ასაჩუქრებდა. დღის ბოლოს შეგროვილ ხორაგს მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოუსხდებოდა და ილხენდა.

რაჭაში აღდგომას დილის წირვიდან დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ, თონეში ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ, მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავ-ფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დაალაგებდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს „გიორგონთობას“ ზეიმობდნენ. აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და იყო დიდი სმა-ქეიფი.

ყოველ წელიწადს, აღდგომის დღესასწაულზე გურიაში ტრადიციული ლელო იმართებოდა. 16-კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს მიივიწყეს. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბრონეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ – ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

საინტერესო რიტუალი ჰქონდათ სამეგრელოში. აღდგომა დღეს განსაკუთრებული ქვევრის, ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. აცხობდნენ ყველისა და კვერცხის პურის კვერებს. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დალევდა და არც თამბაქოს მოწევდა. შუადღისას ხონჩაზე დააწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოს და ამ ყველაფერს საღმრთო საოხორო ქვევრის თავზე დაალაგებდა, მერე იმ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

კახეთში სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ. აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და არიგებდნენ.

როგორ ზეიმობს აღდგომას მსოფლიო

რუსუდან ხავთასი

სააღდგომოდ წითლად ვღებავთ კვერცხს და ერთმანეთს ვუცვლით ამ სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა“. ეს ჩვეულება ძალიან ძველია. არის გადმოცემა, რომ ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინელიც, რომლისგანაც მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა და რომელმაც ღვთისმშობლის შემდეგ პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი. წმიდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიაშურა. იგი ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს სასახლეში. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: „ქრისტე აღსდგა“. იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: „როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდეს“, — სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, კვერცხი მართლაც გაწითლდა. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტიანები წითელი კვერცხებით ეგებებიან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

გერმანია

გერმანიაში აღდგომისწინა დღეები (პარასკევი და შაბათი) უქმეა. შაბათს საღამოს ინთება დიდი სააღდგომო კოცონი, როგორც ზამთრის დასასრულისა და ყველა ცუდი გრძნობის ცეცხლისთვის მიცემის სიმბოლო. მთავარი სააღდგომო პერსონაჟი გერმანიაში არის კურდღელი, რომელსაც ტრადიციის თანახმად მოაქვს სახლში შეღებილი კვერცხები. მშობლები აღდგომის წინა ღამეს სააღდგომო კვერცხებითა თუ ტკბილეულითა და საჩუქრებით სავსე კალათებს მალავენ. დილით, კი საუზმის შემდეგ ბავშვებისთვის ყველაზე სასიამოვნო ჟამი დგება, როცა ისინი კალათების ძებნას მიეცემიან.

პოლონეთი

პოლონელები აღდგომას აუცილებლად მშობლების სახლში, ოჯახურ გარემოცვაში ზეიმობენ. სააღდგომო სუფრაზე აუცილებლად ნახავთ პირშუშხას. ეს არის თითქოსდა შეხსენება იესოს ტკივილის შესახებ, რომელსაც მიირთმევენ პოლონურ ტრადიციულ კერძ ბიგისოსთან ერთად. რაღა თქმა უნდა, სუფრის ატრიბუტად პასკაცაა, რომელსაც ბაბკას უწოდებენ და ასევეა სააღდგომო ნამცხვარი მაზურკა, რომელიც ცუკატებითაა მორთული. აქვე გეტყვით, რომ ტრადიციისამებრ, პოლონელები აღდგომის მეორე დღეს ერთიმეორეს წყალს ასხამენ.

ჩეხეთი

ჩეხეთში სააღდგომო სეირნობისას, ახალგაზრდა გოგონებს ბზის ტოტებით „ცემა“ ემუქრება! რაღა თქმა უნდა, ცემა პირობითად, ეს მხოლოდ ტრადიციული თამაშია და ცემაც მხოლოდ სიმბოლურია. ტრადიციის თანახმად ითვლება, რომ ამის შემდეგ ახალგაზრდა ქალი ლამაზდება და ხდება ბევრად მომხიბვლელი, ვიდრე აქამდე იყო.

ბულგარეთი

ბულგარელების ტრადიციის მიხედვით, სააღდგომო სუფრას აუცილებლად დიდი სააღდგომო პური უნდა ამშვენებდეს, რომელიც ირგვლივ შეღებილი კვერცხებითაა დეკორირებული. რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნების მსგავსად, კვერცხის „ჩარტყმის“ ტრადიცია ამ ქვეყანასაც აქვს.

შვედეთი

შვედეთის მცხოვრებნი სააღდგომოდ სახლებს რთავენ ყვითელი, მწვანე და თეთრი შეფერილობის ყვავილების თაიგულებით. ასევეა ტრადიცია პატარა, ყვითელი წიწილების ფერადი ბუმბულებით მორთვისა, ან მათივე შეღებვისა, რაც ნებისმიერ სახლში იხილავთ სააღდგომოდ. რაც შეეხება სააღდგომო კვერცხებს, მათ შვედები მუყაოსაგან ამზადებენ და შიგ დიდსა და მომხიბვლელ კანფეტებს ათავსებენ.

ისლანდია

ისლანდიელები ტრადიციათა დიდი მიმდევრები არიან. ყველაზე ტრადიციული სააღდგომო საჩუქარი ისლანდიაში, კი შეღებილი კვერცხებია, რომლებსაც ალამაზებს პატარა ყვითელი წიწილა. წიწილა სიმბოლოა განახლებული, ახალი ცხოვრებისა. სასაჩუქრე კვერცხს ერთვის მისალოცი ბარათი, რომელსაც აუცილებლად სპეციალურად შერჩეული, ფრთიანი ფრაზა ერთვის. ფრაზა შესაძლოა სამხიარულო, ან ცხოვრებაზე დასაფიქრებელიც იყოს.

ინგლისი

ინგლისში განსაკუთრებული საზეიმო განწყობით აღდგომის დღესასწაულს ზეიმობენ ბავშვები, რომლებსაც ამ დროს წილად ხვდებათ 2-კვირიანი არდადეგები. სკოლებსა და საბავშვო ბაღებში აღდგომისთვის მომზადება იწყება დიდი ხნით ადრე. ბავშვები აფერადებენ სააღდგომო კვერცხებს, რთავენ მათ ბისერებით, გოფრირებული ფერადი ქაღალდებით, ან აბრეშუმით. ყოველი კვერცხი წარმოადგენს ნამდვილად ხელოვნების ნიმუშს, რომელსაც ბავშვები საჩუქრად უმზადებენ მშობლებს. სააღდგომოდ ყველა საკონდიტროები და შოკოლადის ფაბრიკა ამზადებს უზარმაზარი ასორტიმენტის შოკოლადის კვერცხებს. აღდგომა ინგლისში – შოკოლადის დღესასწაულია!

შინ, კი სააღდგომოდ ამზადებენ სააღდგომო პუდინგსა და ღვეზელს. ასევე ყველა ოჯახში ცხვება საფუარზე მომზადებული სააღდგომო ფუნთუშები ცუკატებით, ფუნთუშაზე კი აუცილებლად გამოსახავენ ჯვარს.

ავსტრალია

ავსტრალიაში ძალზედ პოპულარულია შოკოლადისა და შაქრის სააღდგომო კვერცხები. ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს შოკოლადის ბაჭიები – biby. ავსტრალიელების სააღდგომო სადღესასწაულო მენიუ შედგება შემწვარი ცხვრის, ძროხის ან ქათმის ხორცისგან, რომელთაც გარნირად ბოსტნეული ახლავთ. დესერტზე კი ტრადიციული ავსტრალიური ნუგბარი – ბეზეს ტორტი, რომელიც მარწყვით, ანანასით და მანდარინითაა მორთული. ავსტრალიელები ტრადიციულად ტკბილ ფუნთუშებს მიირთმევენ სააღდგომო დილას ეკლესიაში წასვლამდე.

ამერიკა

ამერიკაში სააღდგომოდ ძალზე პოპულარულია კვერცხების გორაობა დაქანებულ გაზონზე. ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ გააგორებს საკუთარ კვერცხს ყველაზე შორს და შეფერხებების გარეშე. აღდგომის დღეს ბავშვები ადრეული დილიდანვე ღებულობენ ფერადი კვერცხებით და კანფეტებით სავსე კალათებს „სააღდგომო კურდღლისგან“. ტრადიციული ამერიკული სააღდგომო სადილია: ლორი ანანასით, კარტოფილი, ბოსტნეულისა და ხილის სალათი.

იტალია

სააღდგომოდ, ტემპერამენტიანი იტალიელები განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობიან სახლის სისუფთავეს. ისინი ფანჯრებიდან ყრიან ყველა ძველმანს (როგორც ახალ წელს). აღდგომის დღეს კი იშლება ხვავიანი სადღესასწაულო სუფრა, რომელსაც აუცილებლად ამშვენებს სააღდგომო ღვეზელი კოლომბა, რომელსაც აქვს მტრედის ფორმა და ცხვება ხაჭოიანი პიცა.

ამერიკელები სკოლას სახლის განათლებას არჩევენ

აშშ-ს საგანმამათლებლო სფეროში საგანგაშო ტენდენცია შეინიშნება. ამერიკული საზოგადოება იმდენად უკმაყოფილოა სწავლების სისტემით, რომ მშობლები სულ უფრო ხშირად ამბობენ უარს, ბავშვი სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებაში შეიყვანონ და ურჩევნიათ, განათლება სახლში მიაღებინონ. განათლების დეპარტამენტის მოხსენებაში ნათქვამია, რომ 1999 წლიდან მოყოლებული, იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც წერა-კითხვას დედ-მამის დახმარებით და არა პედაგოგების მეშვეობით სწავლობენ, 75%-ით გაიზარდა. მთლიანობაში, მშობლები 7-ჯერ ხშირად ანიჭებენ უპირატესობას ე. წ. საშინაო განათლებას. ასეთი ბავშვები, ქვეყნის მასშტაბით, ჯერჯერობით მხოლოდ 4%-ს შეადგენენ. სახლში მიღებული განათლების პოპულარობის მკვეთრ ზრდას ექსპერტები იმით ხსნიან, რომ სწავლებაზე მითები გაცამტვერდა და მოსაზრება, რომ ამ გზით ბავშვი ვერ მიიღებს სრულფასოვან განათლებას, უსაფუძვლო აღმოჩნდა. ეს თავად ბავშვებმაც დაამტკიცეს, რომლებიც სკოლაში განათლებამიღებულებზე უკეთ აბარებენ გამოცდებს. გარდა ამისა, სახლში ბავშვი თავს გაცილებით მშვიდად გრძნობს და გარდა ამისა, ოჯახს მისი სწავლისთვის 500-600 დოლარი სჭირდება მაშინ, როცა საშუალო სკოლის მოსწავლეზე წელიწადში 10 ათასი დოლარი იხარჯება. სახლში განათლებამიღებულებს ქვეყნის საუკეთესო კოლეჯებიც არ ეუბნებიან უარს და უპრობლემოდ რიცხავენ უმაღლეს სასწავლებლებში; მეტიც — ასეთ ახალგაზრდებზე აქტიურად „ნადირობენ“ ისეთი ცნობილი სასწავლებლები, როგორიც მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ჰარვარდი, სტენფორდი და სხვა სახელოვანი უნივერსიტეტებია.

მობილური საძინებელში საფიფია

ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ათიდან რვა ადამიანს მობილური ტელეფონი საწოლთან უდევს, დაახლოებით ნახევარი კი მას მაღვიძარად იყენებს. ექსპერტები შეშფოთებულნი არიან იმ ეფექტით, რასაც ჩვენზე ეს მოწყობილობა ახდენს — გარდა იმისა, რომ გამოსხივება, უშუალოდ, მოქმედებს თავის ტვინზე და ზოგადად, ჯანმრთელობაზე, ის ასევე შფოთვას იწვევს და ადამიანს აიძულებს, დაძინებამდე უამრავ რამეზე იფიქროს. მობილურები რომ უძილობას იწვევს, ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა მორიგმა გამოკვლევამ. მედიკოსებიც და სწავლულებიც ერთხმად გვირჩევენ, მობილურ ტელეფონი თუ სხვა ელექტრონული მოწყობილობები საძინებლიდან მოვაშოროთ. ბრიტანელი სპეციალისტის, გაი მედოუზის თქმით, საძინებელში არც ტელევიზორისთვისაა ადგილი. მობილურის სიახლოვეს ძილი იწვევს თავბრუსხვევას და თავისტკივილს. ჰარვარდის უნივერსიტეტის სწავლულების განცხადებით, მობილური ტელეფონიდან გამომავალი მცირე შუქიც კი მძინარე ადამიანის თვალის ბადურას აღიზიანებს და ბევრ პრობლემას იწვევს.

ვიაგრას ნაყინი უედსედებისთვის

ნაყინის მწარმოებელი ბრიტანული კომპანია Lick Me I'm Delicious ამტკიცებს, რომ ნაყინის განსაკუთრებული სახეობა შექმნეს ერთ-ერთი მუდმივი კლიენტის თხოვნით, რომლის ვინაობასაც კომპანია არ ახმაურებს, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ იგი ქვეყანაში საკმაოდ პოპულარულია. ნაყინის ყოველ ულუფაში დამატებულია „ვიაგრა“ და შამპანური, დანიშნულება კი ერექტილურ დისფუნქციასთან ბრძოლაა. მყიდველს შეუძლია აირჩიოს ეს პირის ჩასატკბარუნებელი პრეპარატის სხვადასხვა რაოდენობით: 25, 50 ან 100 მილიგრამით. ცნობილია, რომ სექსოპათოლოგები პაციენტების უმრავლესობას 50-მილიგრამიან დოზას ურჩევენ. ამ „აღმგზნები“ ნაყინის გამომგონებელი ჩარლი ფრენსისი რეცეპტს ასაიდუმლოებს. იგი ნაყინის სამყაროში საკმაოდ ცნობილია — შექმნა ისეთი ნაყინი, რომელიც სიბნელეში ანათებს. ფრენსისის თქმით, ამჟამად, თანამოაზრეებთან ერთად, ცეცხლსაშიში ნაყინის შექმნაზე მუშაობს.

იყიდე ფეხსაცმელი და მიიღე მამაკაცი

მალაიზიაში ფეხსაცმლის ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელმა, ვაიოლეტ ლიმმა გადაწყვიტა, კონკიას ზღაპარი რეალობად აქციოს. საამისოდ მან გაცნობის ფირმა შექმნა და თავის მაღაზიებში მოულოდნელი აქცია წამოიწყო ლოზუნგით: იყიდეთ წყვილი ფეხსაცმელი და მიიღეთ საჩუქრად მამაკაცი! კუალა-ლუმპურის პოტენციური საქმროები, ვინც ამ ღონისძიებაში მონაწილეობას დათანხმდა, დაახლოებით 20 წყვილ ფეხსაცმელს ირჩევენ მაღაზიის კოლექციიდან. ყოველ მოდელს იარლიყს კიდებენ წარწერით — „პაემანი მოყვება“. თუ მანდილოსანი ამ ფეხსაცმელს აირჩევს, მას საშუალება ეძლევა, მამაკაცთან ერთად რომანტიკულ ვახშამზე წავიდეს. გამოდის, რომ რაღაც საერთო მათ უკვე აქვთ — ფეხსაცმელში მსგავსი გემოვნება. გარდა ამისა, ყოველი საქმრო, რომელსაც „კონკია“ შეხვდება, ვალდებულია, იმ თანხის არანაკლებ 10% გადაიხადოს, რაც ქალმა ფეხსაცმლის შეძენაზე დახარჯა. ალბათ, სუსტი სქესის ბევრი წარმომადგენელი თავს ვერ შეიკავებს ამგვარ წინადადებაზე, მით უმეტეს, რომ ამ სქემით ფეხსაცმლის შეძენა შეზღუდული არ არის, შედეგად კი ყველა კმაყოფილი რჩება.

პიცის სიუვარული სიკვდილით ემუქრება

დიდი ბრიტანეთის მცხოვრები ახალგაზრდა ქალი დიდი დარტყმის ქვეშ აყენებს საკუთარ ჯანმრთელობას, რადგან ნორმალური ადამიანივით არ იკვებება. 33 წლის ინგლისელს, ე. წ. ამოჩემებული კვების აშლილობა სჭირს — ორი წლის ასაკიდან იგი მხოლოდ ყველიანი და პომიდვრიანი პიცით იკვებება, სხვა სახის საკვების დანახვაზე კი, უბრალოდ, აკანკალებს. მედიკოსებმა პიცის მოყვარული გააფრთხილეს, რომ ეს მავნე ჩვევა დაღუპავს, რადგან ასეთი სახის კვება ინსულტის ან გულის შეტევის რისკს საკმაოდ ზრდის, ხოლო ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობა უამრავ დაავადებას იწვევს. ხილისა და ბოსტნეულის ძალიან მეშინია, ეს ჩემი ახირება არ არის, დაავადების მსხვერპლი ვარ, — აცხადებს ბრიტანელი. ექსპერტების თქმით, გარკვეულ საკვებ პროდუქტზე უარის თქმაში ცუდი არაფერია, ხოლო მთელი ჯგუფის იგნორირება ჯანმრთელობაზე ნეგატიურად აისახება. რაციონი, რომელიც არ შეიცავს ანტიოქსიდანტებსა და უჯრედისს, გულის დაავადებებსა და სიმსივნეს იწვევს.

წყალი განწყობას ამაღლებს

შესაძლოა, უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ფიზიკური მდგომარეობა და ფსიქოემოციური ფონი იმაზეა დამოკიდებული, რა რაოდენობის წყალი დალიეთ დღის განმავლობაში. ეს საინტერესო კანონზომიერება კონექტიკუტის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს. სწავლულთა ჯგუფმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა, რომლის დროსაც მოხალისეები ერთი თვის განმავლობაში, დღეში ნახევარსაათიან გარბენს ასრულებდნენ, რის შემდეგაც ყოველი მათგანი სპეციალურ ტესტს აბარებდა ფსიქიკური მდგომარეობის გამოსავლენად. აღმოჩნდა, რომ ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, მამაკაცები უფრო აფორიაქებულნი და გაღიზიანებულნი ხდებოდნენ, მანდილოსნები კი თავისტკივილსა და განწყობის გაუარესებას უჩიოდნენ. სწავლულებმა შედეგების მიხედვით დაასკვნეს, რომ ორგანიზმის მიერ წყლის დაკარგვა ძლიერ დარტყმას აყენებს განწყობასაც და საერთო ფიზიკურ მდგომარეობასაც. რისკ-ჯგუფში იმ პროფესიის ადამიანები შედიან, ვისი სამუშაოც გამუდმებით კომპიუტერთან ჯდომას უკავშირდება. კარგი გაწყობის შენარჩუნებისთვის სპეციალისტები გვირჩევენ, დღეში არანაკლებ 8 ჭიქა წყალი დავლიოთ.

თანამედროვე ადამიანის ახალი ფობია

ნომოფობია — თავსმოხვეული შიშია იმისა, მობილური ტელეფონის გარეშე არ დარჩე. ამერიკელი სწავლულების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ადამიანების 66%, ამა თუ იმ ხარისხით, ნომოფობია. უფრო ხშირად ამ შიშით შეპყრობილები ახალგაზრდები 18-დან 24 წლამდე, თუმცა არც უფროსი თაობის წარმომადგენლები არიან ნაკლებად დამოკიდებულნი მობილურებზე, ფაქტი, რომ შეიძლება მათ ტელეფონში უცხომ ჩაიხედოს, შიშს უფრო აძლიერებს. ერთი შეხედვით, ნომოფობია თითქოსდა ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ მისი გავლენა მაინც სერიოზულია. ნომოფობიის სიმპტომებია პანიკის შეტევა, თავბრუსხვევა, ჟანგბადის უკმარისობა, ღებინება, ოფლიანობა, აჩქარებული გულისცემა და გულის ტკივილი.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	7	6	9					
						1	3	
				1	5			
		4		2				9
6		7				8		5
5				9		6		
			7	8				
	1	5						
					1	4	9	8

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7		1			8	3		2
	2			1		9		
8					7	6	2	
			8	9	5			
	7	3	1					9
		9		8			3	
1		6	3			4		5

ᲠᲗᲣᲚᲘ

1		5	4		9			6
6								
				3	6	1		
		9			4			2
	6	4	3		2	8	1	
2			1			9		
		2	6	5				
								8
4			9		1	2		5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

				7			5	4
					3			8
		1			8			
	6	5	3				8	
3			9	8	5			2
	8				1	5	4	
			6			9		
1			2					
9	3			1				

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘ ᲓᲝᲜᲝᲠ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲖᲔ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲢᲧᲔᲑᲘᲡ

ცნობილია, რომ ადამიანებისთვის, რომელთაც დონორულ ორგანოს უნერგავენ, საფრთხეს არა თავად ოპერაცია, არამედ შემდგომი პერიოდია, როცა ორგანიზმი ახალ ორგანოს უნდა შეეგუოს. უცხო სხეულზე უარის თქმის თავიდან ასაცილებლად პაციენტები დიდი რაოდენობით ტოქსიკურ პრეპარატებს იღებენ, თუმცა ახლა მეცნიერებმა მოიფიქრეს, როგორ აარიდონ თავი წამლებს და იმუნური სისტემა „გადატვირთონ“. ახალი მეთოდი 20 პაციენტზე გამოსცადეს, რომელთაც დონორის თირკმელი გადაუნერგეს. ჩვეულ პირობებში ავადმყოფებს ათობით სხვადასხვა პრეპარატის მიღება მოუწევდათ, სპეციალისტებმა ემორის უნივერსიტეტიდან კი მათი იმუნიტეტი გადატვირთეს. ახლა მხოლოდ 7 პაციენტი იკეთებს ყოველთვიურად ერთ ინექციას, 13 კი ყოველდღიურად ერთ აბს იღებს. მეთოდიკა პრეპარატ ალემტუზუმაბს ეფუძნება, რომელიც ორგანიზმში ვენიდან შეჰყავთ ოპერაციის დროს. პრეპარატი შლის ლიმფოციტებს, რომლებიც გადანერგილ ორგანოს უტევს. ლიმფოციტების რაოდენობა ნორმაში მოდის 1-1,5 წლის შემდეგ, მაგრამ უჯრედები დონორულ ორგანოს უკვე „თავისიანად“ აღიქვამენ.

ᲰᲝᲛᲔᲝᲞᲐᲗᲘᲐ ᯯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲜᲔᲑᲡ

ჰომეოპათიური პრეპარატები, მოქმედებით არ განსხვავდება პლაცებოსგან და შესაძლოა, ორგანიზმს ზიანიც კი მიაყენოს. ამაზე მოწმობს ავსტრალიელი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევები. ექიმი-ჰომეოპათები ამბობენ, რომ მათი პრეპარატები შველის დაავადებათა ფართო სპექტრს — უბრალო გაციებიდან ონკოლოგიით დამთავრებული. მკვლევარებმა შეამოწმეს ჰომეოპათიური პრეპარატების ზემოქმედება სხვადასხვა დაავადებულ ადამიანზე და აღმოჩნდა, რომ ჰომეოპათიურ წამლებს არც ერთ შემთხვევაში დადებითი ეფექტი არ გამოუვლენია. საგულდაგულოდ შემუშავებულმა კვლევებმა და მონაწილეთა საკმარისმა რაოდენობამ აჩვენა, რომ ჰომეოპათია პლაცებოზე მეტი არაფრითაა. ადამიანები, რომლებიც კონვენციონალური მედიცინის ნაცვლად ჰომეოპათიას ირჩევენ, საკუთარ ჯანმრთელობას რისკის ქვეშ აყენებენ. ამ შემთხვევაში პაციენტი უარს ამბობს წამლებზე, რომელთა ეფექტურობა და უსაფრთხოება უკვე დამტკიცებულია.

ᲮᲘᲚᲘᲡ ᲙᲘᲑᲝᲡ ᲐᲒᲕᲐᲠᲘᲓᲔᲑᲡ

სწავლულებმა დიდი ბრიტანეთიდან, რომელთაც რამდენიმე გამოკვლევა ჩაატარეს, დაასკვნეს, რომ ხილის ხშირი მიღება სასარგებლოა ორგანიზმისთვის და ყოველდღიურად ადამიანი შვიდი სხვადასხვა სახეობის ხილს თუ მიირთმევს, ეს საგრძნობლად ამცირებს ონკოლოგიური და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს. ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევები, დაახლოებით, 12 წელს გრძელდებოდა — ამ პერიოდში დეტალურად შეისწავლეს კვლევაში მონაწილე ადამიანების საკვების მოხმარების ჩვევები, რომლებიც იმ მომენტისთვის შესანიშნავ ფიზიკურ მდგომარეობაში იყვნენ. სწავლულთა თქმით, 30-დან 65 წლის ასაკში, ყოველდღიურად ხილის მცირე რაოდენობის მიღებაც კი არსებითად ამაღლებს ცხოვრების დონეს. მოწიფულ ასაკში თავი უკეთ რომ იგრძნოთ, საკმარისია ყოველდღიურ რაციონში გემრიელი ხილი დაამატოთ, მაგალითად, ბანანი და ვაშლი, რომელიც რკინას, თუთიასა და სპილენძს შეიცავს. სწორედ ეს კომპონენტები აისახება სასიკეთოდ გულსა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სხვა ორგანოებზე.

ᲒᲐᲖᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲨᲘ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲙᲐᲜᲪᲔᲠᲝᲒᲔᲜᲘ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ

კარამელის საღებავი, რომელსაც ხშირად იყენებენ ნეკერჩხლის სიროფის დასამზადებლად, კანცეროგენულ ნაერთს შეიცავს, რომელიც 4-Mel-ის (4-მეთილიმიდაზოლი) სახელითაა ცნობილი. შესაბამისად, ამ საღებავის შემცველი პროდუქტი სიმსივნის განვითარების რისკს ზრდის. აღსანიშნავია, რომ იგივე ინგრედიენტია პასუხისმგებელი „კოლა-კოლას“ დამახასიათებელ ფერზე. საკვებ მრეწველობაში სულ ოთხი საღებავი გამოიყენება და მხოლოდ ორშია 4-Mel. თანაც, პროდუქტის მწარმოებელი კომპანიები არ უთითებენ, კონკრეტულად, რომელ საღებავს შეიცავს ესა თუ ის ნაწარმი. 4-მეთილიმიდაზოლი ყურადღების არეში მას შემდეგ მოექცა, რაც ჩატარებულმა ტესტებმა „პეპსისა“ და „გოიაში“ ამ ნაერთის დასაშვებზე მეტი რაოდენობა გამოავლინა. მთლიანობაში, ექსპერტებმა ხუთი მწარმოებლის 81-ზე მეტი დასახელების გაზიანი სასმელი შეამოწმეს და ნეკერჩხლის სიროფიც გამოიკვლიეს — მასში საშიში ნაერთი სულ 0,7 მიკროგრამი აღმოჩნდა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ სიროფი ნაკლებად საშიშია იმ მიზეზით, რომ მისი მოხმარების მასშტაბი მცირეა და გაზიანი სასმელისას ვერც კი შეედრება. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს მწარმოებლებმა შეამცირეს კანცეროგენის შემცველობის დონე საკუთარ პროდუქციაში. 4-Mel-ის ზუსტად რა მოცულობა იწვევს სიმსივნურ მუტაციას, სწავლულებს არ დაუკონკრეტებიათ.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲦᲕᲘᲚᲘ

5	6	7	4	1	3	2	9	8
4	3	2	8	9	5	1	7	6
1	9	8	7	6	2	5	4	3
3	2	1	9	8	7	6	5	4
9	5	6	3	4	1	8	2	7
8	7	4	2	5	6	3	1	9
2	8	9	1	3	4	7	6	5
7	4	5	6	2	8	9	3	1
6	1	3	5	7	9	4	8	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	5	2	1	3	8	6	4	9
6	8	4	5	7	9	2	3	1
1	3	9	4	6	2	7	8	5
9	4	6	2	5	7	3	1	8
5	2	1	8	4	3	9	7	6
8	7	3	9	1	6	4	5	2
4	6	8	7	2	1	5	9	3
3	1	7	6	9	5	8	2	4
2	9	5	3	8	4	1	6	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	9	8	4	7	6	5	1	3
7	5	6	3	2	1	4	9	8
4	3	1	8	9	5	7	6	2
3	6	7	5	4	2	1	8	9
8	4	5	1	6	9	3	2	7
1	2	9	7	3	8	6	5	4
5	1	4	2	8	7	9	3	6
9	8	3	6	5	4	2	7	1
6	7	2	9	1	3	8	4	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	7	1	6	5	4	9	3	2
9	6	5	3	2	8	4	7	1
4	3	2	1	9	7	6	5	8
6	9	4	8	1	5	3	2	7
1	8	3	9	7	2	5	6	4
2	5	7	4	6	3	8	1	9
7	4	8	5	3	1	2	9	6
5	2	9	7	8	6	1	4	3
3	1	6	2	4	9	7	8	5

მე-12 გვერდი: 1. ცხენისწყალი; 2. ადიულტერი; 3. ცუკატი; 4. ეტნა; 5. ილუმინატორი; 6. წრუწუნა; 7. დილეტანტი; 8. უიკენდი; 9. ტილი; 10. რეტუში; 11. კენგურუ; 12. ეტა; 13. „ანაბასისი“ 14. „აეკი“; 15. ურია; 16. „ლაკალუტი“; 17. არტემონი; 18. ამალთეა; 19. ფშა; 20. ონასისი; 21. ალვა; 22. ტრეტიაკი; 23. ნეონი; 24. „რიგოლეტო“; 25. ტონა; 26. ასტრა; 27. ანკარა; 28. დრამი; 29. ალტი; 30. ბაიტი; 31. კაპულეტი; 32. არარა; 33. საკე; 34. კაბერნე; 35. პირანია; 36. ლანსიე; 37. სალვე; 38. თამარი; 39. სიტრო; 40. არგო; 41. ერი; 42. ორე; 43. სილი; 44. ბორენა; 45. ძნა; 46. ალანია; 47. რძე; 48. სია; 49. ია; 50. ეტლი; 51. დრიუ; 52. იუტა; 53. აგა; 54. მოა; 55. რენძიუ; 56. ენი; 57. ტოგა; 58. კაი; 59. ამაო; 60. ნოტიო; 61. აარე; 62. ბოა; 63. ბოდლერი; 64. აბაი.

ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ

ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს კავშირი შაქრის მოხმარებასა და გუსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს შორის. ახალი კვლევების თანახმად, ტკბილი პროდუქტის ხანგრძლივი მოხმარება გულის დაავადებების განვითარების რისკს მნიშვნელოვნად ზრდის. მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დღეში ერთხელ ტკბილი სასმელი საკმარისია იმისთვის, რომ გულით გამოწვეული სიკვდილის რისკი გაიზარდოს. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მეოთხედ კალორიას იღებენ შაქრის დამატებით, რისკი სამჯერ იზრდება მათთან შედარებით, ვისთანაც ეს მაჩვენებელი 10%-ზე ნაკლებს შეადგენს.



1ხუთი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
2. წყლის ტრამვაი ვენეციაში
3. რომის იმპერატორი
4. ავდ-მყოფურად მიმტებული სქოლ აგზნება
5. ძველი სლავური ერთ-ერთი ანბანი
6. ისრაელის სახელმწიფო ენა
7. მზის შუქით დედამიწის დასხივება
8. ალეგორიული მოთხრობა
9.კრივში: დარტყმა ქვემოდან ყბაში
10. ადამიანის სამეტყველო ორგანო
11.წრის ფორმის საგანი
12. ყველგანმავალი მსუბუქი მანქანა
13. მამაკაცის „მეორე გული“
14. დირიჟაბ-ლების სადგომი
15. ვერცხლისფერი მსუბუქი მეტალი
16. ქედი აღმოსავლეთ საქართველოში
17.საჯარ. კუთხური დარტყმა ფეხბურთში
18. გამოცანა, საიდუმლო
19. მართკუთხა სამკუთხედის გვერდი
20. ირლანდიის თვითსახელწოდება
21.წითელი ფერის ძვირფასი ქვა
22. ჰემინგუეის „... და ზღვა“
23. გასეირნება ბავშვის ენაზე
24.ცხენის დაავადება
25. პოლონ. კათ. მეუდელი
26. პორეულის ნამყის ნალეწი
27. ლეონრდო ... კაპრიო
28.ხმამაღლა ლაპარაკის უნარის დაკარგვა
29.საარიზო თასის სახელი ჰოკეიში
30.ცხვირზე დასამაგრებელი სათვალე
31. შებოლილი ღორის ხორცი
32. დაფქვის საზღაური წისქვილში
33. ერმა თეფში წვნიანი კერძისთვის
34. ჩინურ-იაპონური შაში
35. „ნისანის“ მოდელი
36. სპორტული ნავი
37.ცხენის ფეხზე დასაკრავი რკინა
38. მდინარეზე გადასასვლ. ნაგებობა
39. ინდური კობრა
40.ინგლ. ფეხბურთელი მაიკლ ...
41. სომეხთა წმინდანი ქალი
42. კატის ხმიანობა
43. ტბა ირანში
44. მიკი მაუსის მეგობარი ძაღლი
45. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
46. გია ყანჩელის ოპერა „და ... მუსიკა“
47.მოსკოვის „სპარტაკის“ ქართველი ლეგიონერი
48. არამომთაბარე გლეხი არაბ. ქვეყნებში
49. ... ხუნჭუა „რეკორდში“
50.განხეთქილების ქალღმერთი ბერძ. მით.
51. ჩვილი ბავშვის პირველი წამოძახილის აღმნიშვნელი სიტყვა
52. მუსიკალური ნაწარმოების ფორმა
53. ქალაქი საფრანგეთში
54. სარეცხი ფხვნილის მარკა
55. ებრაელთა სამეფო
56. ფართობის ერთეული ინგლისში
57. ძვ. ფრანგული ხურდა ფული
58.ფაშისტ. პირველი საკონცენტ. ბანაკი
59. თავის ქალის უკანა ნაწილი
60. ებრაელთა სამლოცველო
61. თურქული ტელესერიალი
62. Na_2CO_3 სასაუბრო ენაში
63.ევროკავშირის ვალუტა ევრომდე
64. ინდუისტთა სულიერი მოძღვარი

ყრეშმა თავში ხვრელი ეაუჩინა

უცნაური დაავადება შეეყარა 55 წლის ავსტრალიელ მამაკაცს, რომელმაც კანის კიბოს მკურნალობა ალტერნატიული მეთოდით სცადა და შესაბამისი კრემიც შეიძინა, შედეგად კი პაციენტს თავზე ხვრელი გაუჩნდა, რომელის დიამეტრი 2,5 სანტიმეტრია. როცა ხვრელში ჰაერმა და ტენმა შეაღწია, მამაკაცი თავისტკივილმა გატანჯა და მშობლიური ბრისბენის ერთ-ერთ კლინიკას მიაკითხა. ექიმები, რომელთაც ავადმყოფი გასინჯეს, შოკირებულნი დარჩნენ — მსგავსი რამ არასოდეს გვინახავსო. პაციენტის თქმით, კრემი, რომელსაც იყენებდა, ნარკოტიკული ნივთიერებების საფუძველზე იყო დამზადებული და მას „ეშმაკის ბალზამსაც“ უწოდებენ, რადგან შხამიან ალკალოიდ სანგვინარინსა და თუთიის ქლორიდს შეიცავს. თავიდან მედიკოსები ფიქრობდნენ, რომ პრობლემას ქირურგიული ჩარევით მოაგვარებდნენ, მაგრამ პაციენტის გამოკვლევისას დადგინდა, რომ მკურნალობა ოპერაციის გარეშეც შეიძლებოდა.

ტელეკომპანია „თრიალეთი“

032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუკუბიძის ქ. N12/1

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

ვარდისფერი სათვალეთით დანახული ცხოვრება

იტალიაში უჩვეულო აქცია მიმდინარეობს — ნეაპოლში, დანტეს მოედანზე უზარმაზარი სათვალე გაჩნდა ფერადი მინით. მსგავსი ობიექტები უკვე დააყენეს ფლორენციის, ვენეციისა და ტურინის მთავარ მოედნებზე. პროექტის ინიციატორების ჩანაფიქრით, ეს გიგანტური სათვალე დაეხმარება იტალიელებს, ცხოვრებას სხვა თვალით შეხედონ და პოზიტიური განწყობა შეიქმნან. ყველას, ვინც სურვილს გამოთქვამს, დაიწყოს ბედნიერი ცხოვრება ფერად სათვალეში გახედვით, ამ მომენტის დასაფიქსირებლად ვიდეოს ან ფოტოს გადაღებასაც სთავაზობენ.

მაგნიტი პროდუქტს ინახავს

იაპონელმა დიზინერებმა უნიკალური მაგნიტი შექმნეს მაცივრისთვის, რომელიც ღ-კოდის სკანირებას ახდენს. QR Fridge Magnet მცირე ზომის ინტერაქტიური მაგნიტია ტექსტითა და ნახატებით, რომელიც მაცივარში არსებული საკვები პროდუქტის ვარგისიანობის ვადას ადევნებს თვალყურს. სკანირებისა და ტაიმერის ჩართვის შემდეგ მაგინიტი აუცილებლად მაცივარზე უნდა დაამაგროთ: დროდადრო, ის ფერს იცვლის და მომხმარებელს საჭმლის ვარგისიანობის დონეზე ინფორმაციას აწვდის. მწვანე ფერი ნიშნავს, რომ პროდუქტი ჯერ კიდევ ახალია, ნარინჯისფერი იმაზე მიანიშნებს, რომ ვარგისიანობის ვადა იწურება, წითელი კი გაცნობებთ, რომ პროდუქტი საჭმელად აღარ გამოდგება. მოწყობილობის სიმარტივიდან გამომდინარე, მას ბავშვებიც ადვილად მოიხმარენ, წაიკითხავენ მაგნიტზე ინფორმაციას და უსაფრთხო პროდუქტს დამოუკიდებლად გამოიყენებენ. ცნობილია, რომ QR Fridge Magnet ამ მომენტისთვის მხოლოდ კონცეპტის სტადიაზეა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.